

"ფუნიკულიორის რესტორნის" აღდგენა დაწყებულია

A2



ოპერატიული მასალა

A3



ინდურ ლეგენდაში შეხვეული ახალი ბალეტი

A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 12 სექტემბერი, 2005 წელი. №203 (1063)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### "საქართველოს გზების" ხელმძღვანელი საბიუჯეტო თანხის მითვისებისთვის დააკავეს

ქუთაისის სასამართლომ შპს "საქართველოს გზების" ხელმძღვანელს ალეკო ქაჯაიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

A2

## ამბები

### ნავთობის ფასმა დაიწია

ორშაბათიდან, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი ბენზინგასამართი სადგურების მონიტორინგს იწყებს.

A2

## ამბები

### ანგარიშსწორების საბაბი, ისევ თხილის ბიზნესი ხდება

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის ადმინისტრაციულ საზღვარზე, წალენჯიხის რაიონის სოფელ ტყაიაში 10 სექტემბერს ანზორ ჭკადუას ოჯახს დაუდგენელი, შეიარაღებული, ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ.

A2

## სპორტი

### "სიონს" მატჩის მოსყიდვაში ადანაშაულებენ

ბოლნისელებმა სტუმრად დაამარცხეს სოხუმის "დინამო" - 2:1. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თამაშთან დაკავშირებით ქართულ ფეხბურთში მორიგი სკანდალი გორდება.

A4

## რევიუ

### განახლებული სეზონი განახლებული სპექტაკლით იწყება

თითქოს არაფერი განსაკუთრებული, კიდევ ერთი საზეიმო "აბესალომ და ეთერი", კიდევ ერთხელ შეკრებილი ნაცნობი საზოგადოება, მსმენელი რომელიც ფალიაშვილის ქმნილების ნამდვილი ექსპერტია.

A8

## ამინდი

| | 8/09<br>12/09 | 9/09<br>13/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 29 | 30 |
| ტყიბული | 23 | 23 |
| სოხუმი | 22 | 25 |
| გორი | 23 | 23 |
| ონი | 19 | 20 |
| ზუგდიდი | 23 | 26 |
| სამტრედია | 23 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8040 |
| ევრო | 2.2411 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.3123 |
| რუბლი | 0.0639 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სპორტი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| რეკლამა | A 6 |
| რეკლამა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |


# ჩვეულებრივი კრიმინალი არაჩვეულებრივი დამთხვევებით

სოფიკო ჩხაიძე



მიუხედავად თანამგრძნობთა არაერთი ხმამაღალი განცხადებისა, ნოდარ ლადარია მომხდარს ჩვეულებრივ კრიმინალად მიიჩნევს.

როგორც ამბობენ, კრიმინალს არ აქვს ეროვნება, არ აქვს საზოგადოებრივი სტატუსი და სოციალური კუთვნილება, მაგრამ მხოლოდ ამ ბოლო ერთი კვირის მანძილზე საქართველოში მომხდარ რამდენიმე შემთხვევას თუ გავიხსენებთ, შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალს, ნებსით თუ უნებლიეთ, პოლიტიკური მიმართულება აღმოაჩნდა.

მსხვერპლნი ბოლო დროს მომხდარი შემთხვევებისა, რომლებმაც საზოგადოებაში საკმაოდ ხმაურიანი რეაქცია გამოიწვია, მაინცდამაინც ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატები თუ ჟურნალისტები ხდებიან. თავდასხმა ირაკლი კაკაბაძეზე, გუშინწინ ღამით ოპოზიციონერი დეპუტატის დავით ბერძენიშვილის ბინის გაძარცვა და არაერთი კრიტიკული წერილის ავტორის,

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტის თანადგომა და გლეხის სადარდებელი

### "რთველი 2005" და მისი პრობლემები

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*"მე მინდა, დავპირდე კახელ გლეხებს, რომ პირველ რიგში, ჩვენ ვიქნებით მათ მხარეს," - ასეთი განცხადება ქვეყნის პირველმა პირმა, თელავში, ღვინის მწარმოებელი კომპანია "თელიანი ველის" პრეზენტაციაზე გააკეთა. პრეზიდენტი ძირითად აქცენტს ფალსიფიკაციაზე, ბიზნესის განვითარებაზე და ღვინის ექსპორტზე ამახვილებდა. კახელი კაცი კი, რთველის მოახლოებასთან ერთად, ღელავს და მთავრობას მუქარას უთვლის. "თორმეტი წელია, ვაი-შავი დღით ვაბინავებთ ყურძენს... მეწარმეები სამარცხვინო ფასად შესყიდვას გვთავაზობენ. მდგომარეობა უკეთესობისკენ არ იცვლება... თუ ასე გაგრძელდა, ხალხი ვენახის მასიურ ჩეხვას დაიწყებს. ერთ დროს ხვავითა და დოვლათით სავსე მინდვრებში კი უკვე მელა და ტურაა დაბინავებული. ხალხი უკიდურეს გასაჭირში აღმოჩნდება," - ამბობს გურჯაანელი ფერმერი ფარნაოზ სონღულაშვილი.*

როგორც ყოველ წელს, ამჯერადაც კახეთში რთველი პრობლემებით იწყება. გლეხმა ჯერ კიდევ არ იცის, ჩაიბარებს თუ არა ქარხანა მის ნაშრომს და რამდენს გადუხდის. არადა, რთველი კარსაა მომდგარი.

წელს კახეთი ყურძნის უხვ მოსავალს ელის. მთავრობა კი აცხადებს, რომ წინა წლების პრაქტიკას არ გაიმეორებს და რთვლის პროცესში არ ჩაერევა. თუმცა, რეგიონის და რაიონების ხელმძღვანელობა გამოსავლის ძებნაშია, მაგრამ პირობები, რომლებსაც ისინი მევენახეებს სთავაზობენ, მათთვის მიუღებელია. ადგილობრივი ხელმძღვანელობა გლეხებს სთავაზობს, რომ ყურძენი დედაქალაქისა ან სხვა რაიონების ბაზრებზე გაიტანოს და ბარტერული წესით გადაცვალოს. **"ჩემი გამოცდილებით, თბილისში ღვინის ქარხნები მოსავალს სექტემბრის ბოლოს ღებულობენ. დასავლეთ საქართველოში კი, ჩვენი ყურძენი ერთი თვის შემდეგ დასჭირდებათ, მაშინ, როცა იქაც დამწიფდება. სანამ იქ რთველი დაიწყება, კახეთში ყურძენი საერთოდ აღარ იქნება.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# 11 სექტემბრიდან 11 სექტემბრამდე

ნიკა თარაშვილი

*უკვე მეოთხე წელია, 11 სექტემბერი მთელ მსოფლიოში გლოვისა და ხსოვნის სიმბოლოდ გადაიქცა. 2001 წელს ამ დღით დაიწყო საერთაშორისო ტერორიზმთან საყოველთაო ბრძოლის ათვლა. ამ დღეს დაღუპულთა ხსოვნას მიაგებენ პატივს -არა მარტო ნიუ იორკსა და ვაშინგტონში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. მაგრამ, დედამიწაზე მცხოვრებ 6 მილიარდ ადამიანს შორის ყოველთვის მოიძებნება ისეთი, რომლისთვისაც 11 სექტემბერი აშშ-ზე შურისძიების დაწყების სიმბოლოა.*

*გუშინ ნიუ იორკში ბავშვებმა კიდევ ერთხელ ხმამაღლა წაიკითხეს დაღუპულთა სახელები, კიდევ გამეორდა დამკვიდრებული ტრადიცია - წუთიერი დუმილი და ზარების რეკვა ოთხგზის - 8.46, 9.03, 9.59 და 10.29 საათზე. თითქოს, არაფერი შეცვლილა - ამერიკა ძველებურად მიაგებს პატივს მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონში ტრაგიკულად დაღუპულებს. მაგრამ, გუშინ აშკარა გახდა, რომ 11 სექტემბრის მნიშვნელობა ამერიკელთათვის იცვლება - დღეს ნიუ იორკში უფრო მეტს კამათობენ, თუ როგორი უნდა იყოს 11 სექტემბრის მემორიალი...*

გაგრძელება A5 გვერდზე







*ასე მეორდება უკვე მეოთხე წელია.*

# "პატრიოტთა" დღესასწაული

### სპორტის სასახლეში მოსწავლე-ახალგაზრდული პატრიოტული ბანაკების "პატრიოტის" პირველი ეროვნული ფორუმი გაიმართა

სოფო ბუკია

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ ერთმანეთს შურით გადახედეს და ინანეს, რომ 16-20 წლის ბიჭები არ არიან. მინისტრმა ოქრუაშვილმა ეს დეტალი გუშინ სპორტის სასახლეში შეკრებილ "პატრიოტებს" თავად გაანდო.

სწორედ ამ ასაკის უნდა იყო იმისათვის, რომ ათი დღის განმავლობაში, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ თანატოლებთან ერთად ერთ ბანაკში იცხოვრო და ხმამაღალი სახელი - "პატრიოტი" დაგერქვას. პრეზიდენტის ბრძანებულებით, აღნიშნული პროექტისთვის მილიონ 900 ათასი ლარი გამოიყო.

ასეთი "პატრიოტები" საქართველოს დღეს ათი ათასამდე ჰყავს. მათ გუშინ სპორტის სასახლეში საპრეზიდენტო პროგრამა "პატრიოტის" პირველი ეროვნული ფორუმის გახსნაზე მოიყარეს თავი.

გუშინდელი ფორუმი ნიუ-იორკში 11 სექტემბრის ტერაქტში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად წუთიერი დუმილით დაიწყო.

უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევის შემდეგ, "პატრიოტებს" თავდაცვის მინისტრმა მიმართა და შეახსენა, რომ **"დავით აღმაშენებლის ეპოქის შემდეგ არავის ჰქონია საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერების ისეთი შანსი, როგორიც დღევანდელ თაობას აქვს". "თქვენ არ უნდა გაუშვათ ეს შანსი ხელიდან,"** - განაცხადა ოქრუაშვილმა.

მიხეილ სააკაშვილის დარბაზში გამოჩენისას ქართველმა "პატრიოტებმა" ისეთი ყვირილი და ტაში ატეხეს, რომ თავად პრეზიდენტსაც კი გაუკვირდებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა შორიდან დაიწყო:

**"11 სექტემბერი კრწანისის ომში დამარცხების, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ბოლო დღეა... გპირდებით, რომ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში, თქვენი დახმარებით, საქართველოს ისტორიაში მსგავსი ფურცლები არ ჩაეწერება."**

შემდეგ "მოხვდა" "ურწმუნო თომების არმიას", რომელსაც არ სჯერა საქართველოს წარმატების. დაბოლოს, ტრადიციულად, პრეზიდენტს არც ბუშის ვიზიტის ხსენება დავიწყებია. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ბუშის სიტყვები "ქართველი ხალხის საოცარი გმირობის" შესახებ.

მიხეილ სააკაშვილმა სოხუმის მოღალატურად დაცემაც გაიხსენა და ახლად გამომცხვარ "პატრიოტებს" ასეთი მიზანი დაუსახა: **"ჩვენ ჩვენი აღთქმული ქვეყანა უნდა დავიბრუნოთ.**

გაგრძელება A3 გვერდზე

# მონანიების დღე

ქართველი ინტელიგენციის ინიციატივა, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღე, 12 სექტემბერი ეროვნული მონანიების დღედ გამოცხადდეს, პარლამენტის განათლების კომიტეტმა მოიწონა და ამ საკითხს უახლოეს სხდომაზე განსახილველად გაიტანს. თუმცა, პარლამენტის საბოლოო გადაწყვეტილებამდე, აღნიშნული იდეის ინიციატორები წლევანდელი 12 სექტემბრის გამოტოვებასაც არ აპირებენ. ორშაბათს, 12 საათისთვის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმთან (ჩუბინიშვილის ქუჩა) იდგება ავტობუსი, რომელიც ყველას, ვისთვისაც ეს იდეა მოსაწონია, წიწამურში წაიყვანს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იდეის მხარდამჭერთა შორის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისტორიის ინსტიტუტისა და პარლამენტის წარმომადგენლებიც არიან. ავტობუსი, რომელიც მცხეთა-მთიანეთის რწმუნებულმა ვასილ მაღლაფერიძემ გამოყო, წიწამურში 13:30-ზე, ზუსტად ილიას მკვლელობის დროს ჩავა. თბილისიდან წასულ ინტელიგენციას იქ საპატრიარქოს წარმომადგენელი და მცხეთა-მთიანეთის რწმუნებული დახვდებიან. საზოგადოება წიწამურში 2 საათს დაჰყოფს, ჯერ ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს მოინახულებს და შემდეგ კი კონცერტს დაესწრება.

*24 საათი*

# "ოაზისს" მესამედ ყიდიან

### საპრივატიზაციო მარათონი გრძელდება

*დღეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ოთხი ობიექტის გაყიდვის მიზნით განცხადებების მიღება იწყება. იყიდება დაბა ზაჰესში მდებარე, ტუბერკულოზით დაავადებულთა დაწესებულება, შპს "საქართველოს რკინიგზის" საწესდებო კაპიტალში არსებული, პურის ქარხანა, გუდაუთის ქუჩაზე მდებარე ავტოფარეხი და ვეზიროვის ქუჩაზე მდებარე სასადილო დარბაზი. ობიექტები 13 ოქტომბერს აუქციონის წესით გაიყიდება. დღესვე, სამინისტრო ჩაქვის სასტუმრო "ოაზისს" მესამედ გამოიტანს გასაყიდად.*

13 ოქტომბერს დანიშნული აუქციონიდან ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 610 ათასი დოლარის მიღებას გეგმავს. აუქციონი გამოცხადდა, მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესში მდებარე, კარწანისის უმოქმედო ტუბერკულოზით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 300 000 აშშ დოლარია, შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს საწესდებო კაპიტალში არსებულ პურის საცხობზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 34 000 აშშ. დოლარს შეადგენს, თბილისში, გუდაუთის ქუჩაზე მდებარე ავტოფარეხის შენობა-ნაგებობაზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 200 000 აშშ დოლარია და ვეზიროვის ქუჩაზე მდებარე სასადილო დარბაზზე, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 85000 აშშ დოლარია.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ჩამოთვლილ ობიექტებზე განცხადებების მიღება დღეიდან დაიწყება და 12 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

სანატორიუმი-სასტუმრო "ოაზისის" პრივატიზების მიზნით დღესვე, ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განცხადებების მიღებას დაიწყებს. "ოაზისის" საწყისი გასაყიდი ფასი 4 400 000 დოლარია. სასტუმროს დებიტორული დავალიანება 133 000 ლარს, კრედიტორული კი - 344 000 ლარს შეადგენს. ობიექტი 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაშია და მთლიანად იყიდება. "ოაზისის" ყიდვის მსურველმა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში წინასწარ 440 000 დოლარი უნდა წარადგინოს. სასტუმროზე გამოცხადებული აუქციონი მიმდინარე წლის 13 ოქტომბერს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ "ოაზისზე" კონკურსი უკვე მესამედ ცხადდება. თავდაპირველი კონკურსების დროს სასტუმროთი არავინ დაინტერესებულა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, ამ ეტაპზე სასტუმროზე ინტერესი საკმაოდ დიდია და 13 ოქტომბერს აუცილებლად გაიყიდება.

*24 საათი*

## "საქართველოს გზების" ხელმძღვანელი საბიუჯეტო თანხის მითვისებისთვის დააკავეს

ქუთაისის სასამართლომ შპს "საქართველოს გზების" ხელმძღვანელს ალეკო ქაჯაიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სისხლის სამართლის საქმე აღნიშნული ფირმის მიმართ ქუთაისის ფინანსური პოლიციის მიერ მოკვლეული მასალების საფუძველზე აღიძრა.

"საქართველოს გზები" ქუთაისში, ნუგზარ ფალიანისა და გია გიორგაძის მერობის დროს, გზების დაგებას მერიის დაკვეთით აწარმოებდა. "საქართველოს გზები" ბესიკ გულორდავას მერობის პერიოდშიც შეეცადა საბიუჯეტო თანხების მოპოვებას და ამისთვის ამ ფირმამ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოცხადებულ ტენდერშიც შეიტანა განაცხადი მონაწილეობის მისაღებად, თუმცა სატენდერო კომისიამ, სწორედ ფინანსური პოლიციის მიერ დაწყებული მოკვლევის გამო, ამ ფირმას ტენდერში მონაწილეობის უფლება არ მისცა.

"საქართველოს გზების" ხელმძღვანელს საბიუჯეტო თანხების, კერძოდ, 87 ათასი ლარის მითვისება-გაფლანგვა ედება ბრალად.

*24 საათი*

## ანგარიშსწორების საბაბი ისევ თხილის ბიზნესი ხდება

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონის ადმინისტრაციულ საზღვარზე, წალენჯიხის რაიონის სოფელ ტყაიაში 10 სექტემბერს ანზორ ჭკადუას ოჯახს დაუდგენელი, შეიარაღებული, ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ. როგორც ოჯახის წევრები აცხადებენ, მათ მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. თავდამსხმელებს, რომლებიც ხუთნი იყვნენ, არ მოუთხოვიათ არანაირი ძვირფასეულობა ან ფული. ოჯახის დიასახლისის თქმით, რამდენიმე სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მათ ავტომატის ჯერით დაცხრილეს ანზორ ჭკადუა, რომელიც დამალვას ცდილობდა. ჭკადუა ფეხში მძიმედ დაიჭრა. ცოტა ხნის შემდეგ თავდამსხმელები ისე მიიმალენენ, რომ ოჯახიდან არაფერი წაუღიათ.

პოლიცია ვარაუდობს, რომ ჭკადუების ოჯახზე თავდასხმა ყაჩაღობის მიზნით არ მომხდარა. შესაძლოა, თავდასხმა პირადი შურისძიების გამო მოხდა. დაჭრილი ჭკადუა სასწრაფოდ გადაიყვანეს ზუგდიდის საავადმყოფოში, სადაც სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა. მას მარცხენა ქვედა კიდურის ამპუტაცია დასჭირდა. დაჭრილს სისხლი გადაუსხეს იმ პოლიციელებმა და შინაგანი ჯარის წარმომადგენლებმა, რომლებმაც იგი ამბულატორიაში მიიყვანეს.

ექიმების განცხადებით, ჯერჯერობით ანზორ ჭკადუას მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა საფრთხე იმისა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობა, შესაძლოა, გაუარესდეს, ჯერ კიდევ არსებობს. ექიმების განცხადებით, შესაძლებელია, ანზორ ჭკადუას თბილისში გადაყვანა გახდეს საჭირო. ჯერჯერობით პოლიცია ვერ ასახელებს თავდამსხმელთა სავარაუდო ვინაობას. შემთხვევის ადგილზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები. მომხდარის შესახებ გუშინვე საკუთარი მოსაზრება გაავრცელა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ. მისი ვარაუდით, თავდასხმა თხილის ბიზნესს უკავშირდება და ქართულმა მხარემ უკვე დაზუსტებით იცის, რომ ნიღბიანები აფხაზი კრიმინალები იყვნენ.

მომხდარის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია აფხაზურ მხარეს. ალბათ, აღნიშნული ფაქტი ჭუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზე განიხილება.

*24 საათი*

## "დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს და მოთმინებით უნდა ვიყოთ"

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებთან დაკავშირებით რუსეთს აკრიტიკებს. მისი თქმით, რუსეთის ხელშეწყობით სეპარატისტული რესპუბლიკების მილიტარიზაცია მიმდინარეობს.

"კონფლიქტის ზონებს ყურადღებით ვადევნებთ თვალს. იქ მილიტარიზაცია რუსეთის დახმარებით მიმდინარეობს. ჩვენ რუსეთთან ახალი მიდგომები უნდა გამოვნახოთ," - აცხადებს პრეზიდენტი და დასძენს, რომ "სამხრეთ ოსეთის" კონფლიქტი ქართველებისა და ოსების პრობლემა კი არა, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პრობლემაა, ამიტომ ეს კონფლიქტი სწორედ თბილისსა და მოსკოვს შორის უნდა მოგვარდეს.

"ამის შესახებ პუტინს ვესაუბრე და ახლა მისგან პრაგმატულ პასუხს ველოდები," - აღნიშნა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ხელისუფლება კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისთვის ყველაფერს აკეთებს და მომავალშიც გააკეთებს, მაგრამ ნებისმიერ პროვოკაციას სათანადო პასუხს გასცემს. "კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება დამოკიდებულია ჩვენს განვითარებაზე და სიძლიერეზე. დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს და მოთმინებით უნდა ვიყოთ," - აცხადებს პრეზიდენტი. მან მოიწონა აშშ-ს პოზიცია, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საქართველოში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესში. "ეს უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია. ჩვენ არ მოვითმენთ პროვოკაციებსა და არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი იყვნენ, არიან და ყოველთვის დარჩებიან ჩვენ ტერიტორიებად," - აცხადებს მიხეილ სააკაშვილი.

*მედიანიუსი*

## გიორგი ხაინდრავა: ასე გაგრძელება არ შეიძლება

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელისა და "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის შეხვედრა, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს გაიმართება. ამის შესახებ განცხადებას მოსკოვში მყოფი, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა აკეთებს. მისი თქმით, ედუარდ კოკოითს ამ საკითხზე მოსკოვში გამგზავრებამდე ესაუბრა. გიორგი ხაინდრავა არ გამორიცხავს, რომ ნოღაიდელისა და კოკოითის შეხვედრა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე გაიმართოს. ეს სხდომა 20 სექტემბრისთვის, ვლადიკავკაზშია დაგეგმილი. "არსებობს უამრავი საკითხი, რომელიც უნდა განვიხილოთ. ბევრი საკითხი შესათანხმებელია. რეგიონში ვითარება შემაშფოთებელია და ასეთი შეხვედრების გარეშე მდგომარეობა არ გამოსწორდება," - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი. გიორგი ხაინდრავა მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებსა და უშიშროების საბჭოს წევრებს შეხვდა. მათ ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაციის საკითხები განიხილეს. ხაინდრავა აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციის შესახებ მხარეებს შორის ხელმოწერილი დოკუმენტი ირღვევა და საშიში მილიტარიზაციის პროცესი შეიმჩნევა. "გვაინტერესებს, რამდენად აქვს სურვილი რუსულ მხარეს კონფლიქტი მშვიდობიანად მოაგვაროს. თუ ასე არ არის, მაშინ სხვა ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა მივმართოთ. ასე გაგრძელება არ შეიძლება," - აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

*მედიანიუსი*

## ქართველი პატიმრები დარჩენილ სასჯელს სამშობლოში მოიხდიან

სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად საქართველოში ჩვენი ქვეყნის ცხრა მოქალაქე გადმოიყვანეს. ამ მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის სამმართველო უცხო სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებთან რეგულარულად მართავს მოლაპარაკებებს. სამმართველოს მონაცემებით, წელს საქართველოში სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად გადმოყვანილთა უმრავლესობა რუსეთის ფედერაციაში იყო გასამართლებული.

საქართველოში სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად გადმოყვანილი არიან:

გიორგი აფციაური (რუსეთი), ალუდა კვერნაძე (რუსეთი), თენგიზ შუბითიძე (რუსეთი)

მამუკა კობახიძე (რუსეთი), იური დიატლოვი (რუსეთი), ილგარ იუსუბოვი (რუსეთი),

გიორგი გოგატიშვილი (რუსეთი), დავით ქამუშაძე (რუსეთი) და თენგიზ ცერცვაძე (უკრაინა). მიღწეულია შეთანხმება, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის ფედერაციიდან სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად საქართველოში გადმოიყვანენ შემდეგ მსჯავრდებულებს: დავით გერგლიანს, იასონ ცნობილაძეს, გელა ილიაევს, რევაზ ჯინჭარაძესა და გოჩა გიგაშვილს. ავსტრიის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გადმოიყვანენ - აკაკი ჯავახაძეს და გიორგი ონიანს; აგრეთვე, მიღწეული შეთანხმება სასჯელის დარჩენილი ნაწილის მოსახდელად საქართველოში გასამართლებული მსჯავრდებულების - იაგორ პოლოიანისა და ნიკოლოზ ბაისანგუროვის რუსეთის ფედერაციაში გადაგზავნის თაობაზე.

*მედიანიუსი*

## "ფუნიკულიორის რესტორნის" აღდგენა დაწყებულია

ეკა ლოლაძე



ეს შენობა, უახლოეს მომავალში, "ჯი-ემ-თი" ჯგუფის მეშვეობით, კვლავ შეიძენს ფუნქციურ დატვირთვას.

"ფუნიკულიორის რესტორანი" - ასე იცნობს ყველა იმ თეთრ, პომპეზურ შენობას, რომელიც ძველი თაობისთვის თბილისის სიმბოლო, რომანტიკული შეხვედრების თუ, უბრალოდ, გართობის ადგილი იყო. ძველი თაობისგან განსხვავებით, თბილისის ახალგაზრდა მაცხოვრებლებისათვის ის მხოლოდ ლამაზი ფასადის ამარა დარჩენილი შენობაა, რომელსაც, რატომღაც, პატრონი წლების განმავლობაში არ გამოუჩნდა.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ უნიკალურ შენობას უკვე ჰყავს პატრონი, რომელიც მის აღდგენაში უზარმაზარი ინვესტიციის ჩადებას აპირებს და გეგმავს, რომ ეს ადგილი თბილისელებისა და მათი სტუმრებისათვის ისეთივე საყვარელი გახდეს, როგორც ეს ოდესღაც იყო.

"ფუნიკულიორის" შენობის აღდგენა-განახლება კიდევ ერთი ახალი პროექტი და ახალი გამოწვევაა "ჯი-ემ-თი" ჯგუფისათვის, ამერიკელ კერძო ბიზნესმენთა მიერ დაფუძნებული კომპანიისათვის, რომელიც დღეს საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ უცხოელ ინვესტორს წარმოადგენს (მისი საინვესტიციო პორტფელი საქართველოში 80 მილიონ დოლარზე მეტია. "ჯი-ემ-თი"-ს საკუთრებაშია სასტუმროები "თბილისი" და "ქორთიარდ-მარიოტი"; თავისუფლების მოედანზე მდებარე საოფისე ფართი; ასევე, მისი საკუთრებაა რძისა და წვენების მრეწველობის ლიდერი "სანტე ჯი-ემ-თი პროდუქტები".

გამოცდილება უნიკალური შენობების აღდგენა-რესტავრაციაში კომპანიას უკვე აქვს. რამდენიმე წლის წინ მან სამოქალაქო ომის დროს გადამწვარი სასტუმრო "თბილისი" აღადგინა.

**"ჩვენი კომპანია მთაწმინდის კომპლექსის იმ გამორჩეული შენობის მესაკუთრეა და კარგად აცნობიერებს იმ პასუხისმგებლობას, რასაც მისი ფლობა გვაკისრებს. ის ქალაქისა და მთლიანად ქვეყნის ღირსშესანიშნაობაა და, აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, საზოგადოების საკუთრებაცაა,"** - ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი თავაძე.

"ჯი-ემ-თი" ჯგუფი შენობაში 8-10 მილიონის დაბანდებას გეგმავს. შენობის ფასადის ფორმა შენარჩუნდება და აღდგება ის პომპეზურობა, რომელიც მას წლების წინ ჰქონდა. ფასადის შესაფერისი იქნება შენობის ინტერიერიც. თუმცა, კომპანიის წარმომადგენელთა განცხადებით, მათი მიზანი ისიც არის, რომ შენობა სხვადასხვა სოციალური ფენისათვის ხელმისაწვდომი იყოს.

გიორგი თავაძე: **"ჩვენ გვინდა, დიალოგი დავიწყოთ საზოგადოებასთან, მოვიწვიოთ მისი წარმომადგენლები, რათა მათ თავიანთი მოსაზრებებით წვლილი შეიტანონ ამ შენობის ფუნქციონალურ აღდგენაში. უახლოეს მომავალში საზოგადოებას წარვუდგენთ კონცეფციას, სადაც ზუსტად იქნება ასახული, თუ რა განთავსდება შენობაში. ეს იქნება რესტორნები და კაფეები. მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საკონფერენციო და საბანკეტო სივრცე. ასევე, იქნება ბავშვებისთვის გასართობი ადგილებიც.**

**შენობის აღდგენაზე, უცხოელ და ქართველ არქიტექტორებთან ერთად, შენობის არქიტექტორის ზაქარია ქურდიანის შვილიშვილიც ითანამშრომლებს. გარდა ამისა, შენობაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ცნობილი ქართველი მხატვრის კოკა იგნატოვის პანო, რომელიც ამ ადგილის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა იყო. პანოს ნაწილი დაკარგულია და ახლა მის აღდგენაზე კომპანია მხატვრის ქალიშვილთან ერთად იმუშავებს."**

"ფუნიკულიორის" (საბაგირო რკინიგზის) ზედა სადგურის სამსართულიანი შენობა, არქიტექტორ ქურდიანის პროექტის მიხედვით, მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს აშენდა, სადაც, სადგურის გარდა, ბიბლიოთეკა, რესტორანი და ბარი იყო განლაგებული.

"ჯი-ემ-თი" ჯგუფი, რომელიც 75 წლის შემდეგ იწყებს თბილისელების საყვარელი შენობის აღდგენა-განახლებას, სამუშაოების დამთავრებას 2007 წლის ბოლოსათვის გეგმავს. წინასწარი აღდგენითი სამუშაოები შენობაში უკვე დაწყებულია.

## პრეზიდენტის თანადგომა და გლეხის სადარდებელი

პირველი გვერდიდან

**რაც შეეხება გადაცვლას, ეს ორმაგი ხარჯია. ამბობენ, ყველაზე კარგი ეკონომისტი გლეხიაო. მოსავალი ახალქალაქში ან წალკაში რომ ჩავიტანო, რა აზრი აქვს, იქ ჯერ კარტოფილი არ არის შემოსული. ამიტომ, მის ჩამოსატანად ხელახლა უნდა ჩავიდე, რისთვისაც დამატებითი ხარჯის გაწევა მომიხდება, ყურძნის მოყვანა კი ისედაც ძვირი გვიჯდება,"** - აცხადებს სოფელ ჭანდარის მკვიდრი, ფერმერი ფარნაოზ სონღულაშვილი. იმ შემთხვევაში, თუ გლეხი მთავრობას არ დაემორჩილება და აქციას გამართავს, ზოგიერთი რაიონის გამგებელი მათ ციხითაც კი ემუქრება. **"ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ყურძნის რეალიზაცია გაგიადვილოთ. იმას ნუ მოგვთხოვთ, რაც ჩვენს შესაძლებლობებს სცილდება. მოსავლის ჩაბარებისას გზების გადაკეტვას მკაცრი შეფასებები მოჰყვება. მევენახემ ყურძნის დაკრეფა კერძო მესაკუთრესთან წინასწარ უნდა შეათანხმოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ამ უკანასკნელმა პროდუქციის მიღებაზე, ქარხნის მოუმზადებლობის მიზეზით, უარი განაცხადოს. თუ ხალხი ამის გამო გზის გადაკეტვას მოისურვებს, ეს სიტუაციის განგებ არევასა და დესტაბილიზაციაში ჩაითვლება, მოთავე მკაცრად დაისჯება და დაპატიმრებული იქნება. დღეს მიტინგის დაშლის არავის ეშინია!"** - განაცხადა გურჯაანის რაიონის გამგებელმა აკაკი სიხარულიძემ და ამის თაობაზე ხალხის გაფრთხილება სოფლის ხელმძღვანელებს დაავალა.

ღვინის მწარმოებელი ქარხნის ხელმძღვანელები ამბობენ, რომ წელს ყურძენს ისინი მთავრობის ხათრით იღებენ. კომპანია "ქინძმარაულის" დირექტორი თამაზ კონჭოშვილი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ მისმა საწარმომ, ვალის გამო, წელს მცირე რაოდენობის ყურძნის მიღება გადაწყვიტა. **"ქარხანას სახელმწიფოს შარშანდელი ვალიც ვერ გაუსტუმრებია, რადგან შარშან მიღებული ყურძნისგან წარმოებული ღვინის რეალიზება ვერ შევძელით. მთავრობის თხოვნა რომ არა, ალბათ, წელს ყურძენს ვერ ჩავიბარებდით,"** - ამბობს თამაზ კონჭოშვილი. იმისათვის, რომ გლეხს მოსავლის დაბინავება არ გაუჭირდეს, "შუმის" ღვინის ქარხნის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფალსიფიკაციას ბოლო უნდა მოეღოს. **"თუ ეს პრობლემა არ მოგვარდა და ამაში მთავრობაც არ დაგვეხმარა, გლეხებს იმის იმედს ვერ მივცემთ, რომ მათ მოსავალს გაისადაც მივიღებთ,"** - აღნიშნავს კომპანია "შუმის" წარმომადგენელი ჯუმბერ ბატიაშვილი.

გლეხებს და ფერმერებს კი სხვა მოსაზრება აქვთ. მათი აზრით, ღვინის მწარმოებლები იმიტომ არიან არხეინად, რომ მათ საკუთარი, ასობით ჰექტარი ვენახი აქვთ გაშენებული.

**"ყველაფერში ამერიკას რომ ვბაძავთ, იქაც არის კერძო ქარხნები, მაგრამ ასეთი პრობლემები არც ყურძნის მომყვანს და არც მეწარმეს ექმნება, იმიტომ, რომ იქ ყველაფერი მოწესრიგებულია. თუ ფასებთან დაკავშირებით სახელმწიფო კერძო მესაკუთრის საქმეში ვერ ერევა, გზა მაინც მისცენ საიმისოდ, რომ ღვინო პატიოსნად აწარმოონ და რეალიზაციაც გაუკეთონ. გლეხმა რაღა ქნას? დიდი შრომის ფასად მოწეული მოსავალი გადაყაროს? ჯერ სახელს დაუკვირდით - ჭირნახული, აქედან გამომდინარე მაინც გასაგები უნდა იყოს, რის ფასად გვიჯდება მისი მოყვანა,"** - ამბობს ძირკოკელი ბორის ფენაშვილი.

გლეხისთვის პრობლემას წარმოადგენს ყურძნის ღირებულებაც. ხელისუფლება კი არც ამ პროცესებში აპირებს ჩარევას. **"ფასში მთავრობა არანაირად არ ჩაერევა, რადგან ეს მახინჯი ფორმაა. ფასი მეწარმეების გადასაწყვეტია. თანაც, უნდა აღინიშნოს, რომ ფასს ყოველთვის ბაზარი ადგენს,"** - ამბობს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი.

### "მინდა დავპირდე კახელ გლეხებს, რომ პირველ რიგში, ჩვენ ვიქნებით მათ მხარეს"

საქართველოს პრეზიდენტმა გამოსვლა ავტოსაგზაო მაგისტრალების შეკეთებაზე და კრიმინალის აღკვეთაზე საუბრით დაიწყო, რასაც იგი საქართველოს აღმავლობის პირველ ხანას უწოდებს. შემდეგ კი ყურადღება ქართული ღვინის ბიზნესზე გაამახვილა. სააკაშვილის განცხადებით, თავად ბიზნესმენებმა უნდა მოიძიონ ბაზრები და დაამკვიდრონ სტანდარტები, რომლებიც ფალსიფიკაციას გამორიცხავს, ხოლო ქართული ღვინის ხარისხს აამაღლებს.

ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ყურადღებას იმ ბიზნეს-კლიმატზე ამახვილებს, რომლის წყალობითაც, როგორც თავად ამბობს, მსოფლიო ბაზარზე ქართული, სერთიფიცირებული ღვინის პროცენტული მაჩვენებელი საგრძნობლად გაიზარდა. **"შარშან 25 მილიონი ბოთლი გაყიდა საქართველომ, წელს კი, უკვე ღვინის სეზონამდე, 28 მილიონი ბოთლში ჩამოსხმული ქართული ღვინის რეალიზება მოხდა. ეს ნიშნავს, რომ გვაქვს თეორიული შანსი, ორჯერ გავზარდოთ ღვინის გაყიდვა. ეს კი უკვე რეალური შედეგია,** - აღნიშნავს პრეზიდენტი, - **ჩვენ დავიწყეთ ზრუნვა ქართული ღვინის ხარისხზე, რაც ძალზე რთული პროცესია. თქვენ იცით, რა წამებაა, როცა შედიხარ ბაზარზე და შეგაქვს "ხვანჭკარა" 15 დოლარად, იქ ეს ღვინო გხვდება 1 დოლარად,"** - აცხადებს სააკაშვილი და იქვე აღნიშნავს, რომ ეს უწინდელივით მოლდოვაში და ბულგარეთში ნაწარმოები ღვინოები კი არ არის, არამედ საქართველოშია ჩამოსხმული და ქართული მისამართები და მარკები აქვს.

მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომმ საქართველოს მთავრობა არ დაუშვებს უცხო ქვეყნიდან იაფი ყურძნის შემოტანას. **"ჩვენ ვართ ღვინის სამშობლო... ჩილეში 20 წლის წინ პირველად დარგეს ყურძენი და დღეს ეს ქვეყანა არის უფრო დიდი მწარმოებელი, ვიდრე საქართველო,"** - ამბობს ქვეყნის პირველი პირი.

■ ■ ■

**"მთელი წელი გავწუდი შრომით. ამას ვინ ჩივის, მამასისხლად ვყიდულობდი შესაწამლ შხამებს. როგორც იქნა, მოსავალი მოვიყვანეთ და რომ ვერ ჩავაბაროთ, რა უნდა ვქნათ?!"** - მიუხედავად პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული თანადგომისა, კახელი გლეხების ეს შეკითხვა პასუხგაუცემელი რჩება.

## ნავთობის ფასმა დაიწია

ორშაბათიდან, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი ბენზინგასამართი სადგურების მონიტორინგს იწყებს. როგორც კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენ"-ს განუცხადა, კონტროლს საწვავის ფასებთან მიმართებაში განახორციელებენ, რათა რომელიმე გამყიდველის მიერ მაღალი ფასების ხელოვნური შენარჩუნება არ მოხდეს.

მთვრალაშვილის თქმით, მსოფლიო ბაზარზე, უკვე ოთხი დღეა, ბენზინის ფასების სერიოზული კლება შეიმჩნევა. ამ პერიოდის განმავლობაში ერთი ტონა ბენზინის ფასმა 80 დოლარით დაიწია. შედარებით უმნიშვნელოა კლება დიზელზე, რამაც ერთ ტონაზე მხოლოდ 10-15 დოლარი შეადგინა. მთვრალაშვილის განცხადებით, ეს იმით აიხსნება, რომ დიზელზე მოთხოვნა გაცილებით მაღალია.

თუ რამდენად აისახა საქართველოზე ეს ფაქტი, ამის თქმა, მთვრალაშვილის

განცხადებით, დღეს ძნელია, რადგან ბოლო ოთხი დღის განმავლობაში აზერბაიჯანიდან, რომელიც საქართველოს ძირითადი მომწოდებელია, საწვავის იმპორტი არ განხორციელებულა. მისი აზრით, ეს ფაქტი საწვავის ფასების ცვლილებას უკავშირდება.

როგორც მთვრალაშვილი აცხადებს, ორშაბათიდან აზერბაიჯანიდან საწვავის იმპორტი აღდგება.

მიუხედავად ამისა, მთვრალაშვილის თქმით, საქართველოში სავაჭრო საცალო ქსელში ფასების შემცირება უკვე დაფიქსირდა და მთელ რიგ ბენზინგასამართ სადგურებზე ბენზინის ფასი 5-10 თეთრით შემცირდა. **"ტენდენცია იქით მიდის, რომ სიტუაცია უფრო დასტაბილურდება,"** - განაცხადა მან.

ასეთი ვარაუდის მიზეზს ის იძლევა, რომ საერთაშორისო სააგენტო ყოველდღიურად მსოფლიო ბაზარს 2 მილიონ ბარელ ნავთობს აწვდის, რაც ერთი თვის განმავლობაში გაგრძელდება. გარდა ამისა, მექსიკის ყურეში, სადაც სტიქიის გამო ნავთობის მოპოვება გაჩერებული იყო, სიტუაცია გამოსწორდა და ნავთობმოპოვება უკვე 40-50 პროცენტით აღდგა. შესაბამისად, ამუშავდა რამდენიმე ნავთობგადამამუშავებელი ქარხანაც. ასე, რომ, ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარის სამომავლო განწყობა საწვავის ფასებთან მიმართებაში ოპტიმისტურია.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## გამოცხადებული პრივატიზაციის განხორციელება ვერ ხერხდება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისის მთავრობას, შეიძლება, ბიუჯეტიდან 60 ათასი დოლარის დაბრუნება მოუხდეს. აღნიშნული თანხა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოში მორიგი კომერციული კონკურსის მონაწილეებმა გადაიხადეს ბეს სახით. შპს "იმერეთი" და შპს "სანი" ერთმანეთს ქუთაისში, ვარლამიშვილისა და ლერმონტოვის ქუჩა N2-4-ში მდებარე, ყოფილი სახანძროს შენობის შესასყიდად ექიშპებიან, რომლის საწყისი გასაყიდი ფასი, მიწის ფართობის ღირებულების გათვალისწინებით, 165 202 აშშ ამერიკული დოლარის ეკვივალენტს შეადგენს ლარებში.

კონკურსი 30 აგვისტოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით შეჩერდა. სასამართლოში სარჩელი ფიზიკურმა პირმა ინეზა სოსელიამ შეიტანა, რომლის წარმომადგენლის მტკიცებით, სოსელიას გადაწყვეტილი ჰქონდა, აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა თავადაც მიეღო, როცა მთავრობის შესაბამის დადგენილებაში სერიოზული სამართალდარღვევები აღმოაჩინა და სასამართლოში სწორედ ეს გაასაჩივრა.

**"მთავრობის დადგენილებას ხელს აწერს მერის მოვალეობის შემსრულებელი, დანართს კი - აპარატის უფროსი. ამასთან, კონტროლის შესრულება დავალებული აქვს ბესიკ ბრეგაძეს, მაშინ, როცა ბრეგაძე გათავისუფლებულია სამსახურიდან. ასე რომ, ეს არის ბათილი ადმინისტრაციული აქტი,"** - აცხადებს სოსელიას წარმომადგენელი მამუკა სიგუა "24 საათთან" საუბარში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ქუთაისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველომ აღნიშნულ ფართზე საბოლოო შედეგის გამოცხადება 8 სექტემბერსაც სცადა, მაგრამ - კვლავაც უშედეგოდ, რადგან მოსარჩელე მხარემ ქუთაისის საოლქო სასამართლოს განჩინება კონკურსის შეჩერების თაობაზე მათ კანცელარიაში ორი საათით ადრე წარადგინა.

რა ღონისძიებებს მიმართავს ქუთაისის მთავრობა სოსელიას საპასუხოდ და გამოცხადებული პრივატიზაციის რეალურად განსახორციელებლად, ჯერჯერობით უცნობია.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებული გიორგი ხაჩიძე კატეგორიულად უარყოფს საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმის" მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ახალციხეში ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას შორის სისხლიანი შეტაკება მოხდა. სააგენტოს ცნობით, შეტაკება 1915 წელს სომეხთა გენოციდისადმი მიძღვნილ ძეგლთან მოხდა. შეტაკებისას დაპირისპირებული მხარეები სანადირო თოფებს იყენებდნენ, რის შედეგადაც არიან დაჭრილები. "რეგნუმის" ინფორმაციით, შეტაკება ერთ-ერთი სომხური კრიმინალური დაჯგუფების მიზეზით მოხდა, რომელიც ადგილობრივი რწმუნებულის აპარატიდან ფინანსდება. როგორც საქართველოს პარლამენტის წევრმა, ეროვნებით სომეხმა ვან ბაიბურთმა "მედიაუნსს" განუცხადა, "აღნიშნული სააგენტო მსგავს დეზინფორმაციებს შეგნებულად ავრცელებს." **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მატიას იორში და ევგენი კირილოვი, რომლებიც ევროსაბჭოს მონიტორინგის კომისიის წარმომადგენლები არიან, სექტემბრის ნაცვლად საქართველოში ოქტომბერში ჩამოვლენ. მათთან ამ შეთანხმებას პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ელენე თევდორაძემ ანტალიაში ვიზიტის დროს მიაღწია. "იორშთან და კირილოვთან შესახვედრად თურქეთში სპეციალურად ამ საკითხის მოსაგვარებლად ჩავედი," - განაცხადა თევდორაძემ და დასძინა, რომ საქართველომ იმ ვალდებულებების შესრულება ვერ მოასწრო, რომელიც ევროსაბჭოს წინაშე ჰქონდა აღებული და რომლის გასაცნობადაც იორშს და კირილოვს საქართველოში შვიდ სექტემბერს ელოდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**ცხინვალი**. "სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ე.წ. დამოუკიდებლობის დღეებთან დაკავშირებით, რომელსაც სეპარატისტები 19-20 სექტემბერს აღნიშნავენ, ცხინვალის საგზაო მშენებლობის სამმართველომ რამდენიმე საგზაო მაგისტრალის მშენებლობა დაასრულა. ახალი საფარი დაიგო ცხინვალი-ავნევის მაგისტრალზე და ქალაქის რამდენიმე ცენტრალურ გზაზე. პარალელურად, გზების აღდგენითი სამუშაოები ზნაურის რაიონულ ცენტრის მიმართულებით მიმდინარეობს. **მედიანიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი 12 სექტემბერს აშშ-ში მიემგზავრებიან. ვიზიტის მიზანი "ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის" რატიფიკაციაა. როგორც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდი იუწყება, დოკუმენტს ხელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და "მილენიუმის კორპორაციის" თავმჯდომარე ჩარლზ სეტნესი მოაწერენ. ხელმოწერის ცერემონიალს აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისიც დაესწრება, საქართველოს პრეზიდენტი კი სიტყვით გამოვა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი**. საქართველოს პარლამენტის წევრი ვალერი გელაშვილი საქართველოში დღეს დაბრუნდება. "რესპუბლიკელების" ლიდერის, დავით უსუფაშვილის განცხადებით, გელაშვილი, მასთან ერთად სასტუმრო "ქორთიარდ-მარიოტში" პრესკონფერენციას გამართავს. მისი თქმით, პრესკონფერენციაზე ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრებენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი კიევში იმყოფება. მინისტრი იქ 9 სექტემბერს გაემგზავრა და რამდენიმე დღე დარჩება. კიევში ვანო მერაბიშვილის შეხვედრების გრაფიკი და განსახილველი თემები ჯერჯერობით არ ხმაურდება. ამ საკითხზე კომენტარს არც შს სამინისტროს პრესსამსახურში აკეთებენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ტელეკომპანია "მზე" რვა ჟურნალისტმა დატოვა. სამსახურიდან წასვლის თაობაზე განცხადებები ასევე "მზის" რეგიონული ბიუროების თანამშრომლებმაც დაწერეს. როგორც "ინტერპრესნიუსს" სარწმუნო წყარომ აცნობა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ორი დღის წინ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ საინფორმაციო სამსახურის უფროსი ინგა დადიანი გაათავისუფლა. სწორედ ამის გამო, ტელეკომპანიის დატოვების შესახებ განცხადებები დაწერეს ჟურნალისტებმა - ეკა ფირცხალავამ, სოფო მდინარაძემ, ნატო მახვილაძემ, გოდერძი შარაშიამ, გიორგი კალანდიამ, მაია ჭუჭულაშვილმა, სალომე მახარაძემ და გიორგი ცქვიტავამ. სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, თუკი ხელმძღვანელობა პოზიციას არ შეიცვლის, ტელეკომპანიის დატოვებას სხვა ჟურნალისტებიც გეგმავენ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. სტუდია "რეპორტიორმა" პარლამენტარ კობა ბექაურის საქმიანობასთან დაკავშირებულ ფილმზე მუშაობა უკვე დაასრულა, რომელსაც, სავარაუდოდ, საზოგადოებას დღეს წარუდგენენ. როგორც ჟურნალისტმა ვახტანგ კომახიძემ განაცხადა, ფილმი საზოგადოებრივი ტელევიზიის და ტელეკომპანია "202"-ის ეთერში ერთსა და იმავე დროს გადაიცემა. "ვინაიდან საზოგადოებრივ მაუწყებლობას დაფარვის ყველაზე დიდი ზონა აქვს, ფილმი, "202"-ის ეთერის პარალელურად, აღნიშნულ არხზეც გადაიცემა," - განაცხადა კომახიძემ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალგორის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ახალგორის რაიონის სოფელ იკოთში მცხოვრები, 29 წლის პაატა ყაბანაშვილი, რომელმაც, შს სამინისტროს ინფორმაციით, 1998 წლის 9 იანვარს სახლში ურთიერთშელაპარაკებებისას სანადირო თოფიდან გასროლით მოკლა მამა, იქვე მცხოვრები, 54 წლის რუსლან ყაბანაშვილი, რომელიც შემდგომ დამარხა საქონლის სადგომში. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა ნიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯიოშვილი.




# ოპერატიული მასალა

## ეძღვნება ნინო ანანიაშვილს

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



— დავსხდეთ ახლა, ვასილი, და თან საქმეებზეც ვილაპარაკოთ. აზრზე უნდა მოგიყვანო. შენ ახლა გგონია, რახან დაზვერვაში მუშაობ, რისკი მოგიწევს, რაღაც ფათერაკები შეგხვდება, რომანტიკის მოლოდინში გული სასიამოვნოდ გეკუმშება. ეჰ, ვასია, შენს ასაკში უკვე კარგა ხანია მაგეებზე აღარ ვფიქრობდი, მაგრამ თქვენ გვიან მწიფდებით... დაჯექი და მომისმინე. გაგიმართლა. უფრო მეტიც, ორმაგად გაგიმართლა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩემისთანა კაცი მოგიყვანს აზრზე, მეორეც, იმიტომ, რომ ჩათვალე — სამოთხეში გაგამწესეს. თუ გინდა, მხართეძოზე წამოწექი — საქმე თვითონ გაკეთდება. არა, ამისთვის ბევრი ვიშრომეთ — მეც და უფრო ადრეც... მაგრამ დღეს მოვიდა დრო და მოსავალი უნდა ავიღოთ... მოთმინების გარდა, არაფერი დაგჭირდება... მოთმინებას კი რა აადვილებს? ლოდინს რა ამოკლებს? — მართალია! თან მისაყოლებელიც აქვეა: მწვადი, ნიგვზიანი ბადრიჯანი, გუდის ყველი... საჭმელი კარგი აქვთ. ჭამე, ვასია, ჭამე და მისმინე. მეტი არც არაფერი მოგეთხოვება...

რომ იცოდე, შენი წინამორბედი რა ნერვიული იყო. ამიტომაც მოუწია წასვლა. ვაი, აჭარა დავკარგეთ! ვაი, ჩვენი ბაზები მიდიან! ალღო ვერ აუღო სიტუაციას — აბა, ვის უნდოდა ის ბათუმელი კრეტინი, როცა უიმისოდ საქმე უფრო ადვილად წავა. მთელი ოპერაცია უფრო ნაკლები დაჯდება, ვიდრე იმისი ძაღლების კვება გვიჯდებოდა. ან ის ბაზები რა საჭირო იყო: უყურებდნენ ამ გაუბედურებულ სამხედროებს და ასე მსჯელობდნენ ჩვენზე. ახლა აგერ ამას უყურონ!.. ერთი გადავკრათ და ყველაფერს აგიხსნი... კარგად წავიდა პირველი. შენ კი ჭამე, ვასია, ჭამე და მისმინე.

ჯერ ერთი, ოპერაციის ბირთვმა ბათუმიდან თბილისში გადმოინაცვლა: საპატრიარქოში. ეს შაოსანი ბიჭები კარგად აკეთებენ საქმეს, თანაც, როგორც გითხარი, უფრო იაფი გვიჯდება. არა, ჯიშიანი ძაღლები იქაც უყვართ, მაგრამ ტვინებზე ზემოქმედება გაცილებით უფრო კარგად შეუძლიათ. თვითონ განა ხვდებიან რამეს: უბრალოდ თუთიყუშებივით იმეორებენ, რასაც ჩავძახებთ. აი, აქ მაგრად იმუშავეს ჩვენმა გვარდიელებმა, ჩვენი ეკლესიის წმინდანებმა — მატრიონუშკამ, ქსიუშამ და სხვებმა. ფულებსაც განა ჩვენ ვიხდით! — ისევ აქაურები ყაჭავენ: ბიზნესმენი ხარ? გამოსწოვე სისხლი დედა რუსეთს? — კეთილ ინებე და შენივე ეკლესიას შესწირე. მაგრამ ისე, რომ უბრალო ხალხისგან მადლობა არავინ გითხრას: გუმბათი დადგი, ზარი ჩამოჰკიდე, ეპისკოპოსს ჯიპი აჩუქე, სახლი აუშენე — ოღონდ ხალხმა არ იგრძნოს შენი ქველმოქმედების სითბო. აი, მაშინ ამზადებ ჩვენს დიად გამარჯვებას!

ახლა ხომ მიხვდი, რატომ გავაპარპაშეთ მღვდლები? ვერა? ეტყობა, ერთიც უნდა გადავკრათ... მთავარია, სისულელე გაბატონდეს. რასაც ეგენი ქადაგებენ, შეიძლება ქრისტიანობა იყოს, შეიძლება — არა. ეს არ მაინტერესებს. მთავარი ორი რამაა: ჯერ ერთი ადამიანებში საბოლოოდ ჩაიკლას შეკითხვების დასმის უნარი და აზრის შემოწმების სურვილი; მეორეც, ყველამ დაიჯეროს, რომ რასაც ესენი უქადაგებენ, ჩვენი მოგონილი კი არაა, მე-19 საუკუნეში, არამედ თვითონ მათი საუკუნო სულიერი მემკვიდრეობაა. აი, ის ხახოლი იუშჩენკო უცებ მიხვდა, სად რა ჰყვავის, ჰოდა, ჯერ საპრეზიდენტო სკამს მიჩვეული არ იყო, უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია მოითხოვა. პირდაპირ გულში დაგვიმიზნა. მაგრამ ჩამოვიდა თბილისში, ეგონა, მხარდაჭერას მიიღებდა და რა პასუხი მიიღო აქაურ საპატრიარქოში, არ იცი? ჭამე, ვასია, ჭამე, ნუ მორცხვობ — მერე, მოხსენებით ბარათს წაგაკითხებ... უკრაინა იქით იყოს და ჩვენ აქაურობას მივხედოთ. აქ მთავარი ზომიერებაა: ადამიანები წელში არ უნდა გადატეხო. იწერონ პირჯვარი მარშრუტკებში, მაგრამ ძალიან ღრმად ნუ გაუჯდებათ რელიგია სულში, თორემ შეიძლება უმართავები გახდნენ. ამიტომ მღვდლებს გადავუგდებთ კიდევ ნაჭრებს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. მათ თავიანთი მისია თითქმის ამოწურეს...

აბა, გახედე, აქაური უფროსები აზრებს კი არ გამოთქვამენ, ცნობებს კი არ აწვდიან, ქადაგებენ. მთელ მსოფლიოში პოლიტიკოსები დაპირებებს იძლევიან — მხოლოდ საქართველოში ქადაგებენ! კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური, რომ დაუკვირდე, კაცს კოზმა და დამიანე ეგონება. მაგრამ არც ესაა მთავარი. მთავარი ისაა, რომ ხალხი აზრის გაგებას გადაეჩვია. იმ ზომამდე, რომ არსებობს, მაგალითად, გაზეთი, აზრზე მოდი, მთელი გაზეთი, რომელიც საკუთრივ ემზარ ჯგერენაიას ლანძღვაზე სპეციალიზდება. მრავალფეროვნებისთვის ხან გაგა ნიჟარაძეს გაურევენ, ხანაც — დათო პაიჭაძეს. ეს კი მხოლოდ იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი კითხვების დასმას არავინ მიეჩვიოს.

აბა, დაუკვირდი, როგორ მეტყველებენ აქაური აღიარებული ტაკიმასხარები. გამოდის ერთი ტელევიზიით და აცხადებს: "პიონერთა სასახლე მისტიკური ადგილია!" — ამას შეიძლება გაჩხერილიც ჰქონდა, მაგრამ ატყობ, საიდან მოდის ტერმინოლოგია? გამოდის მეორე და უმატებს: "უგულავას, სასახლის მითვისება ბუშმა უბრძანა!" — ეგ ნაღდად პახმელიაზე იქნებოდა, მაგრამ აზრზე მოდი — არავის ეცინება! კაცი არ მოიძებნა, რომ ხმამაღლა გაიცინოს! არა, ნამდვილად საბრძოლო მედლები უნდა ჩამოჰკიდო ჩვენს ღირს მამებს. დაავიწყდათ, რომ 1941 წლის მაისში სასახლეში პიონერები დიდი ლავრენტის ინიციატივით განთავსდნენ. ახლა ხომ მიხვდი, ბუშის ალტერნატივად თვით ისტორიამ ვინ დასახა? მაშინ აქ ყველა თავში ხელს ირტყამდა, ნეტა მეცნიერებათა აკადემია ყოფილიყო ამ შენობაშიო. ვინ რას გაბედავდა!

მერე კიდევ ის გამოდის ტელევიზიით, აქაური პანი ქშისინსკა — ნინო ანანიაშვილი. ბალერინა უძახე და ისე აყალიბებს სათქმელს, ამათ ფილოლოგ პროფესორს შეშურდება: "არ გინდათ ბალეტი? — რა ვუყოთ, ტანზანიასაც არა აქვს კლასიკური ბალეტი, რაო, სახელმწიფო არ არის?". ყველა ამ ტანზანიას ჩაეჭიდა, როგორ გაგვიბედესო. მთავარი კი გამორჩათ: სახელმწიფო საკუთარ ქონებას განკარგავს. ჰოდა, ვასიოკ, სანამ აქაურებს მთავარი გამორჩებათ, მანამ ვიბაირამებთ ჩვენ, ჩეკისტები! ჩვენი დიადი გამარჯვებისა შევსვათ... მიაყოლე, ვასიოკ, მიაყოლე. აქაურ ჭაჭას არ ეხუმრებიან...

ტანზანიისა კი აი, რას გეტყვი. მაგათ პრეზიდენტი ჰყავდათ, ჯულიუს კამბარაჯე ნიერერე. არა, როიალზე უკრავდა თუ არა, არ ვიცი, სამაგიეროდ, შექსპირის ორი პიესა თარგმნა სუაჰილიზე: "ვენეციელი ვაჭარი" და "იულიუს კეისარი". ასე რომ, სულ ტყუილად იბზუებენ ტუჩს აქაური უკუდო ამპარტავნები: შექსპირია, ბლიად, ბოდლერი ხომ არ არის!

კიდევ იმასაც გეტყვი, რომ მაგ ნიერერემ იმდენი ქნა, ყველა ტანზანიელს შეასწავლა წერა-კითხვა და ინგლისური. აქ კი გაიარე ქუჩაში და ჰკითხე ხალხს, რომელი ენა აქვთ დაყენებული მობილურებში? გამოიცანი? — ხი, ხი, ხი!.. და თუ ვინმე გამოერია ქართული მენიუთი, ისე იყურება, კაცს გიორგი სააკაძე ეგონება. იცოდნენ მაინც, ვინ იყო გიორგი სააკაძის დედა...

ერთი სიტყვით, ნუ დაიძაბები, ვასია, საქმე თითქმის არაფერი დაგვრჩა. თვითონ მოუღებენ ბოლოს საკუთარ თავს. აი, როგორ გააბრაზეს სოროსის ფონდის აქაური დირექტორი. გაძლება არ გინდა? — ყოველდღე მოდიან ჩვენები და ფანჯრების წინ ბასტი-ბუბუს უმართავენ. გაგიჟდა კაცი. სრულიად საქართველო კი ყურსაც არ იბერტყავს. განა იმიტომ, რომ სრულიად საქართველოს რაღაც აზრი აქვს. აზრი რომ არ გააჩნია — იმიტომაცაა მშვიდად. ნორმალური ადამიანი ხომ დაფიქრდებოდა: ესენი რომ ყოველდღე დაბარებულებივით ერთსა და იმავე ადგილას ჩნდებიან, ესე იგი, უსაქმურები არიან. მერე და რატომ უნდა დავუჯეროთ უსაქმურებს? ანდა მოდი, უფრო გავამწვავოთ ფორმულირება: რა შეჰქმნა ცხოვრებაში მანანა არჩვაძემ, რამესთან დაპირისპირების მორალური უფლება რომ ჰქონდეს?

არა, ასეთი შეკითხვა არასოდეს გაჩნდება ქართველის თავში! ეს კი ნიშნავს, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. ჰოდა, ვასილიოკ, მოისვენე, ეგ საკინძე შეიხსენი და ერთიც დავლიოთ. ნეტა რას გაჩერებულხარ? — ჭამე, ძამიკო, ჭამე — საჭმელი კარგი აქვთ-მეთქი...

არა, იმ პრიმა-ბალერინას კი აქვს რაღაც-რაღაცეების უფლება. თუნდაც იმის, რომ მინკუსი სტრავინსკიზე წინ დააყენოს, ან იმისა მაინც, რომ თავის მშვენიერ ფეხებზე დაიკიდოს აქაურობა. ერთია კიდევ ასეთი, ნერვებს რომ მიშლის, იმას ჩვენც ფეხებზე ვკიდივართ. რას იზამ, ყველაფერი ისე ვერ იქნება, როგორც გინდა... ლავროვს ინგლისურად ელაპარაკება... უხ, მაგის... ჰო, რაო, რას ვამბობდი? მგონი ჭაჭამ დამიარა ბერიკაცს. რას ვამბობდი-მეთქი? ჰო, სოროსის დირექტორი გააბრაზეს ჩვენებმა...

მარტო ეგ კი არა... ცოტა ადრე ბენდუქიძეც გააბრაზეს. შეაფურთხეს კიდეც. არ იცი, რატომ? ეჰ, რაც კიევის ფრუნზეს სახელობის უმაღლესი სამეთაურო სკოლა დავკარგეთ... ახლავე აგიხსნი: ბენდუქიძე მერე "საქართველოს რესპუბლიკამ" გააბრაზა, რაღაც ისეთი დაბეჭდეს, რომ საბაბი მისცეს ეთქვა, მე ნაცისტურ გამოხტომებს არ ვპასუხობო. აბა, რასა ჰგავს ეს სიტუაცია? ტვინი გაანძრიე! ყოჩაღ: დაზღვევის ლონისძიებას. ბენდუქიძეს განა საკრიტიკო არაფერი აქვს, მაგრამ "საქართველოს რესპუბლიკის" მარაზმი რა შუაშია? ისევ უკიჟინებენ, საქართველოს ჰყიდისო. იმას კი არავინ ეკითხება, აქამდე რა გაყიდა! — სად არის დაპირებული რძისა და თაფლის მდინარეები?

აბა, თუ მიხვდები, რა არის მთავარი პარადოქსი და რაზეა დამყარებული ჩვენი მუშაობა? — ყველამ, უკლებლივ ყველამ იცის, რომ ყველაზე ძნელი პროცესი აქ დაგროვილი ნაგვისთვის მყიდველის პოვნაა, რომ არავის შავ ქვადაც არ უნდა აქაური შავი ქვა. და მაინც არავინ ამხელს ამას. ყველა მხოლოდ იმას გაიძახის, საქართველო იყიდებაო.

დავლიოთ, ვასილიოკ, ჩვენი ღირსი მამებისა დავლიოთ, კიდევ ამათი სკოლის მასწავლებლებისა და უნივერსიტეტის პროფესორებისა. როგორ მოგვიმზადეს და შეგვიკმაზეს, აი, ამ ლუკმასავით გემრიელი ქვეყანა! თუმცა დიდი ხელოვნება ნამდვილად არ იყო ამისთვის საჭირო: საკმარისია, კრიტიკულ აზროვნებას, მსჯელობას გადააჩვიო ადამიანი და უკვე შენია, ძვალ-რბილიანად და გულ-ღვიძლიანად შენია, როგორც პნევმატური თოფიდან გასროლით გაბრუებული ლომი. რას მიყურებ? ეგრეა. ჭამე, აი, ამას ელარჯი ჰქვია, ასე უნდა აიღო და აქ ჩააწო...

უმსჯელობა და მოწიწება — აი, ჩვენი მთავარი მოკავშირეები. ოღონდ მოწიწების ობიექტები უნდა შეარჩიო სწორად. მაგალითზე გიხსნი: პარლამენტის ვიცე-სპიკერი განრისხებულია, სიბრაზისგან აცახცახებს. მართალი გითხრა, ამ გაბრაზების მაინცდამაინც არ მჯერა, მაგრამ მთავარი სხვაა: პარლამენტის ვიცე-სპიკერი ბიუროზე ოჯახს იფიცებს. ოჯახს! ეს კი მოწიწების იმხელა საგანია, რომ არავის, დააკვირდი, არავის აზრადაც არ მოსდის, რომ პარლამენტი ამგვარი განცხადებების ადგილი არაა. თანაც ყველას, უკლებლივ ყველას სულაც ფეხებზე ჰკიდია ვიცე-სპიკერიცა და მისი ოჯახიც! არავინ ამას ხმამაღლა არ იტყვის — ჰოდა, რჩება ყურადღების გარეშე სხვა უფრო მნიშვნელოვანი საკითხები. რომელი? აი, თუნდაც ეს ვნახოთ: აიღე ყველა შესწორება, რაც ორასი წლის განმავლობაში განუცდია შეერთებული შტატების კონსტიტუციას. არა, წაკითხვას არ გავალებ, ნუ დააგდე ჩანგალი. უბრალოდ აიღე ყველა ერთად და ქაღალდზე დაწერილი დაიდე თვალწინ. ახლა კი ამათი კონსტიტუციის ბოლო ცვლილებები აიღე — აი, ისინი, რევოლუციის მერე რომ შეიტანა ძალაუფლებას ნაზიარებმა სამეულმა. ვიცი, ენას რომ ვერ ფლობ — ამ ენის სწავლა ორასი წელი არ დაგვჭირვებია, ახლაც არაა აუცილებელი. უბრალოდ, ზომით შეადარე. რა დასკვნა გამოგაქვს?

მაგრამ ამ დასკვნებზე არავინ ფიქრობს. არც ამათი ყბადაღებული თავისუფალი მედია. ჩვენ კი ის აზრი გავავრცელოთ, რომ შევარდნაძე "დარდუბალამ" გადააგდო. ესენი მაინც ვერ მიხვდებიან, რომ სიტყვის თავისუფლება მთავრობას სიცოცხლეს უხანგრძლივებს. მით უმეტეს იქ, სადაც ათწლეულების განმავლობაში კანონისა და ხელისუფლების მასხრად აგდებას იყვნენ ჩვეულნი: რასაც დასცინი, იმას უფრთხილდები. ვინ იცის, შემდგომმა ნება არ მოგცეს და ხელზე დაგკრას. ეს ბატები კი მაგდენს ვერ ხვდებიან. რატომ? — ხომ ნახე ტელევიზორში ამათი ტელეპროდიუსერები? მოსკოვში მაგისთანა "ატმაროზკები" ჩექმებს მიწმენდნენ. აქ კი ყველა ეროვნულ ღირსებაზე დებს თავს, მაშინ როცა უბრალო რესპექტაბელობაზე წარმოდგენაც არა აქვთ...

ჰოდა, მაგას გეუბნები, ჩემო ვასია, სვი, ჭამე და იმხიარულე. ამათ საკუთარი ნათესავებისა და დიადი წარსულის მოწიწება თვითონ დააჩოქებს. ამათ ხომ რეალური საქმეები არ აინტერესებთ — ოღონდ ქართვლის დედის ქანდაკებაზე არავის წამოსცდეს რამე. რაო, გიორგი სააკაძის დედა ვინაა?.. მე რა ვიცი... მე ვთქვი? აჰ, სულ გამომაშტერა ამ ჭაჭამ — ვინ და ანა ანტონოვსკაია.

კაი ჭკვიანი რუსი დედაკაცი იყო. ახლა მე ერთს კიდევ დავლევ, შენ კი გეყოფა. ხომ იცი, რას ამბობს ჩვენი ხალხი — ბერიკაცი თვრესო, ვაჟკაცს ცოტა ხვდესო... თუ ამას ჩვენი კი არა ამათი ხალხი ამბობს. ეჰ, მსხვერპლს თუ არ შეუსისხლხორცდი, ვერასოდეს დასძლევ... ასე რომ, ჭამე, ვასიუტკა, ჭამე...

# ჩვეულებრივი კრიმინალი არაჩვეულებრივი დამთხვევებით

პირველი გვერდიდან

გაზეთ "24 საათის" პრეს-ომბუდსმენის ნოდარ ლადარიასა და მისი ოჯახის დაყაჩაღება ბევრ კითხვას ბადებს. თუ ეს ყველაფერი მართლაც უბრალო დამთხვევაა და სხვა არაფერი, მაშინ, საქართველოს სამართალდამცველი ორგანოების მტკიცება, კრიმინალური ვითარება არ გაუარესებულაო, რეალობისგან შორსაა; და თუ კრიმინალური ვითარება სტაბილურია და კონტროლს ექვემდებარება, მაშ რატომ არჩევენ მძარცველები და ყაჩაღები მაინცდამაინც ამ ადამიანებს?

ძარცვისა და ყაჩაღობის უკან პოლიტიკური სარჩეულის არსებობა პირველივე კომენტარებში უარყვეს დავით ბერძენიშვილმა და ნოდარ ლადარიამ. ორივე ჩვეულებრივ დანაშაულზე ლაპარაკობს და შეშფოთებას გამოთქვამს კრიმინალური ვითარების გაუარესების გამო.

**"როდესაც ქურდები ბინაში შევიდნენ, შინ არავინ ვყოფილვართ. ქურდობა, სავარაუდოდ, დღის საათებში მოხდა. საღამოს 5 საათზე, როცა ჩემი ცოლის და ჩამოვიდა, ბინის კარი ღია დახვდა. გუშინვე შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტიკური სამსახურის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. მე დღეს ჩამოვედი, შევატყობინე შესაბამის სამსახურებს, მაგრამ სამართალდამცველებს მე ჯერჯერობით არ დავუკითხივარ. როგორც ჩანს, მე მათთვის მთავარი მოწმე არ ვარ,"** - განაცხადა ბერძენიშვილმა, რომლის ბინიდან წაღებულია ნოუთბუქი, საუკუნის დასაწყისის დროინდელი საოჯახო შვეიცარიული საათი და სხვა ნივთები, მათ შორის - მისი და მისი ძმის ლევან ბერძენიშვილის სკოლის ოქროს მედლები.

დავით ბერძენიშვილის თქმით, მათ კორპუსში ბოლო ხანში რამდენიმე ბინა გაიძარცვა, რაც მას აძლევს საბაბს, დამნაშავეობის ზრდაზე ისაუბროს და სამართალდამცველებს მუშაობის გაუმჯობესებისკენ მოუწოდოს.

რაც შეეხება ნოდარ ლადარიას, როდესაც პისტოლეტითა და დანებით შეიარაღებული ოთხი ბოროტმოქმედი მის ბინაში შეიჭრა, ოჯახის ყველა წევრი შინ იყო. ყაჩაღები ბინაში მის ვაჟს შეჰყვნენ.

**"თუმცა, ჩვენს ბინაში შემოღწევა ისედაც არ გაუჭირდებოდათ, კარს ყველას ვუღებთ. მეზობლები - ამ უბნის მაცხოვრებლები ხშირად მოდიან ტელეფონზე დასარეკად,** - ამბობს ნოდარ ლადარია, - **როდესაც ნიღბიანები შემოცვივდნენ, მე უკვე ვიწექი. მათ მოითხოვეს ფული და ოქროულობა; ასევე, ჩვემს შვილს უთხრეს, მამაშენის კომპიუტერი და ოქროს საათი სად არისო. ჩვენ, შეიძლება ითქვას, ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაგვიწევია. ერთადერთი - როდესაც ჩემს ნოუთბუქს იღებდნენ, მე სადენი გამოვაძვრე. სწორედ ამის შემდეგ ერთ-ერთმა სახეზე საბანი დამახურა და თავში რამდენჯერმე ჩამარტყა ბლაგვი საგანი".**

გუშინ ნოდარ ლადარიას ექიმისთვის არ მიუმართავს, შესაბამისად, მიღებული დაზიანების ხარისხზე საუბარი არ შეუძლია.

მისივე ნაამბობის თანახმად, ყაჩაღებს ოჯახის სხვა წევრების მიმართ ძალადობა არ უცდიათ, მხოლოდ მის ქალიშვილს რამდენჯერმე მიადეს დანა, როდესაც ოქროულობას აძებნინებდნენ.

**"ბინაში, დაახლოებით, 15 წუთი დაჰყვეს, გარდა იმისა, რომ ჩვენგან ითხოვდნენ რაღაც ნივთების მიცემას, თავადაც ყველაფერი გადმოანგრიეს. მთლიანობაში წაიღეს ჩემი ნოუთბუქი, ოჯახის ყველა წევრის მობილური ტელეფონები, ოქროულობა და ფული - 200 ლარი,"** - ამბობს ლადარია. მისი თქმით, ყაჩაღების მხრიდან ადგილი არ ჰქონია არავითარ მნიშნებას მის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ნოდარ ლადარიას ოჯახზე თავდასხმის შეტყობისთანავე მასთან მისი მეგობრები მივიდნენ - საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები და სასულიერო პირები. ზოგიერთი მათგანი საკმაოდ ხმაურიან მოსაზრებებსაც გამოთქვამდა, თუმცა, თავად ნოდარ ლადარია დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებს და ამბობს:

**"ჩემი აზრით, ეს ჩვეულებრივი, ბოლო ხანებში გავრცელებული კრიმინალია და არა თავისუფალ მასმედიაზე ზეწოლის მცდელობა ან ანგარიშსწორება. მე ყველაზე მეტად ის მაწუხებს, რომ ვცხოვრობ ქვეყანაში, სადაც ჩემი გატეხილი თავი უფრო აინტერესებთ, ვიდრე ის, რაც შიგ ყრია. ვარაუდები შეიძლება ძალიან ბევრი იყოს. მე ჩემი ვარაუდების გამოთქმისას ძალზე ფრთხილი ვიქნები. ამ შემთხვევაში, ორი რამ მაინტერესებს - დავიბრუნო ჩემი საარსებო საშუალება - ის ნოუთბუქი, რომელიც ქურდებმა წაიღეს და მეორე - შევინარჩუნო ის მიუკერძოებელი პოზიცია, რომელიც წარმოადგენდა ყველაზე დიდ ფასეულობას ჩემში. მე რომ დავიწყო ეჭვების გამოთქმა, ვინმე დავადანაშაულო, მის მიმართ მიუკერძოებლობას დავკარგავ და ყველა ჩემი ნათქვამი თუ დაწერილი განხილულ იქნება დაინტერესებულის პოზიციიდან".**

ნოდარ ლადარიას დაყაჩაღების ფაქტზე უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; ჩატარებულია პირველი საგამოძიებო მოქმედებებიც.

მცხეთა-თიანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე მაისურაძის თქმით, საქმეში ჩართულები არიან კინოლოგები და კრიმინალისტები და ყველაფერი კეთდება დამნაშავეთა მოსაძებნად. რაც შეეხება სავარაუდო ეჭვმიტანილთა წრეს, იგი ამ თემაზე საუბარს ზედმეტად მიიჩნევს. სხვათა შორის, თავად ნოდარ ლადარია ამბობს:

**"პირველად მქონდა უშუალო შეხება პოლიციასთან და მინდა, მათ მიმართ გამოვხატო მადლიერება - მართლაც ყველაფერი გააკეთეს, რაც საჭირო იყო; მეტიც, წმინდა ადამიანური თვალსაზრისით, ძალზე დამამშვიდეს".**

# "პატრიოტთა" დღესასწაული

პირველი გვერდიდან

**ჩვენი აღთქმული ქვეყანაა ერთიანი საქართველო, რომლის საზღვრებიც ფსოუსთან, როკის გვირაბთან გადის... ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. პატრიოტები მოდიან!"**

პრეზიდენტი გუშინ "პატრიოტებს" დაჰპირდა, რომ რევოლუციური ეიფორია საქართველოში დასრულდა და **"ახლა ქართველებმა მსოფლიო ჩვენი შრომით უნდა გავაკვირვოთ, ისევე, როგორც ჩვენი რევოლუციით გავაკვირვეთ..."**

პრეზიდენტის პატრიოტული სიტყვის ფინალი პოეტური გახლდათ, რასაც სახელმწიფო ჰიმნის შესრულება მოჰყვა.

სპორტის სასახლიდან "პატრიოტთა" არმია, პრეზიდენტთან და მთავრობის წევრებთან ერთად, გმირთა მოედნისკენ დაიძრა. ახალგაზრდებმა საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა მემორიალთან ყვავილები მიიტანეს. გუშინდელი პატრიოტული დღე ღია ცის ქვეშ გრანდიოზული გალა-კონცერტით დასრულდა.

ერთი უმნიშვნელო დეტალი: ქართველ "პატრიოტთა" პირველი ფორუმი 11 სექტემბერს შედგა. ცნობილი ტერაქტის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, სწორედ 11 სექტემბერს აღნიშნავენ "პატრიოტთა დღეს" აშშ-შიც.



პრეზიდენტმა "პატრიოტთა" წინაშე გამოსვლა პოეტურად დაასრულა.






# თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი ქურშად თუზმენი თურქ ბიზნესმენთა თანხლებით საქართველოს ესტუმრება

2005 წლის 13-14 სექტემბერს თურქეთის სახელმწიფო მინისტრის ქურშად თუზმენის ხელმძღვანელობით საქართველოში იგეგმება სავაჭრო დელეგაციის ვიზიტი. ვიზიტის მიზანია, თურქულ-ქართული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, ორი ქვეყნის ბიზნეს წრეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება, აგრეთვე რეგიონში ახალი სავაჭრო და საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარება

სავაჭრო დელეგაციის პროგრამაში ძირითადად მონაწილეობას მიიღებენ საკვები პროდუქტების, სამშენებლო მასალების, საყოფაცხოვრებო ნივთების, მანქანა დანადგარების (შესაფუთი, ტექსტილის, საკვები და ა.შ.), ტექსტილისა და მზა ტანსაცმლის, საავტომობილო მრეწველობისა და გადაზიდვების სექტორში მოღვაწე თურქულ ფირმათა 100-ზე მეტი წარმომადგენელი.

P ხსენებული ვიზიტის ფარგლებში მოეწყობა სემინარი თურქეთსა და საქართველოს შორის არსებული ეკონომიკური და სავაჭრო თანამშრომლობის შესაძლებლობების შესახებ. Aაგრეთვე გაიმართება თურქ და ქართველ ბიზნესმენთა ორმხრივი შეხვედრები.

**13 სექტემბერი, 2005**
09:30-10:00 რეგისტრაცია
10:00 - 12:30 სემინარი თემაზე: "თურქეთ საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის განვითარება".
14:00 - 18:00 ფირმათა ორმხრივი შეხვედრები.

**14 სექტემბერი 2005**

10:00 - 12:30 ფირმათა ორმხრივი შეხვედრები.

სემინარისა და ორმხრივი შეხვედრების მოწყობის ადგილი:
**Hotel Courtyard Marriott**

**ცნობისათვის მოგვმართეთ:**
თურქეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში

მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ: 35
ტელ: (995 32) 25 12 89
(995 32) 25 13 36
ფაქსი: (995 32) 25 12 98

## საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია თანახმად "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა, ვაქვეყნებთ 2005 წლის 7 ივლისს საწვავ-საპოხი მასალების და 27 ივლისს სამეურნეო საქონლის, შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერში და კომუფლირებული ფორმის კერვის შესყიდვის მიზნით ჩატარებულ დახურულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა სიას:

სამეურნეო საქონელი

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. საწარმო "თამაზ სონიშვილი" | ურო (ხის ტარით) | ც | 500 | 20.00 | 10,000.00 |
| | ნაჯახი (ხის ტარით) | ც | 500 | 17.00 | 8,500.00 |
| | წერაქვი (ხის ტარით) | ც | 500 | 15.00 | 7,500.00 |
| | ძალაყინი | ც | 500 | 18.00 | 9,000.00 |
| | ხერხი ბორდახორი | ც | 200 | 35.00 | 7,000.00 |
| | რკინის საჭრელი ხერხი (ნაკრები) | კომპ. | 50 | 5.00 | 250.00 |
| | რკინის საჭრელი ხერხის პირები | ც | 200 | 1.00 | 200.00 |
| | ურდული (დ-80) | ც | 10 | 18.00 | 180.00 |
| | ცელი (უტარო) | ც | 200 | 23.00 | 4,600.00 |
| | ურიკა ბორბალზე | ც | 10 | 90.00 | 900.00 |
| | ვედრო | ც | 100 | 6.00 | 600.00 |
| | ლურსმანი 40მმ. | კგ | 100 | 3.00 | 300.00 |
| | ლურსმანი 70მმ. | კგ | 100 | 3.00 | 300.00 |
| | ლურსმანი 100მმ. | კგ | 100 | 3.00 | 300.00 |
| | ლურსმანი 120მმ. | კგ | 100 | 3.00 | 300.00 |
| | გალვანი მავთული 2,5 მმ. | კგ | 21,000 | 3.50 | 73,500.00 |
| | ცელოფანი (სიგანე 1,5მ.) | გრძ. მეტრი | 630 | 2.00 | 1,260.00 |
| | კაპრონის შავ-თეთრი ლენტი | მ. | 200 | 4.00 | 800.00 |
| | სამთო თოკი | მ. | 300 | 3.20 | 960.00 |
| | მრეცხაზოვანი ტომარა | ც | 10,300 | 0.70 | 7,210.00 |
| | მავთულის ბადე (სიგანე 1,45მ.) | გრძ. მეტრი | 1,000 | 6.80 | 6,800.00 |
| | მინა (სისქე 4მმ.) | მ2 | 400 | 18.00 | 7,200.00 |

საწვავ-საპოხი მასალები (ხელახალი)

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| შპს "თეგეტა მოტორსი" | ზეთი მს-20 | ლიტ | 10,000 | 4.8 | 48,000.00 |

კომუფლირებული ფორმის (ქუდით) კერვა

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესასყიდი საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| შპს "ელსელმა" | კომუფლირებული ფორმის (ქუდით) შეკერვა | კომპ. | 3600 | 18.00 | 64,800.00 |

# "სიონს" მსაჯის მოსყიდვაში ადანაშაულებენ

ეტყობა, ბოლო ორი სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სიმპათიური და საკუთარი ხელწერის მქონე გუნდი, გასული სეზონის ბრინჯაოს პრიზიორი თბილისის "თბილისი" წელს გამოკვეთილი აუტსაიდერი იქნება და უძლიერესთა კამპანიაში ადგილის შენარჩუნება ძალზე გაუჭირდება. ყოველ შემთხვევაში, სასტარტო ხუთი ტური სწორედ ამაზე მეტყველებს. წინა ოთხის მსგავსად, "თბილისმა" ბოლო ტურშიც მარცხი განიცადა და სატურნირო ცხრილის ქულების გრაფაში კვლავაც მრგვალი ნული უწერია. თან, თუ წინა შეხვედრებში გიორგი დევდარიანის გუნდი მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას უწევდა მეტოქეებს, ამჯერად დედაქალაქელებმა უბრძოლველი კაპიტულაცია გამოაცხადეს. ამაზე გუშინდელი შეხვედრის ანგარიშიც მეტყველებს: 0:5! ასეთი სხვაობით მხოლოდ საქართველოს ეროვნული ნაკრები თუღა აგებს. ბრინჯაოს პრიზიორის კარში კი ხუთი უპასუხო გოლის გატანა ლიგის დებიუტანტმა, "ბორჯომმა" მოახერხა. აღსანიშნავია, რომ მატჩში "პოკერი" შეასრულა, ანუ ოთხი გოლი გაიტანა "ბორჯომის" თავდამსხმელმა ქორიძემ, ხოლო მეხუთე გოლი საკუთარ ანგარიშზე ექსთბილისელმა გეწაძემ მიითვალა.

ტურის სხვა შედეგებიდან გამოსარჩევია ჩემპიონატის მოულოდნელი ლიდერის, ბოლნისის "სიონის" ზედიზედ მეოთხე გამარჯვება. ბოლნისელებმა სტუმრად დაამარცხეს სოხუმის "დინამო" - 2:1. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თამაშთან დაკავშირებით ქართულ ფეხბურთში მორიგი სკანდალი გორდება. სოხუმის ხელმძღვანელობამ "სიონი" მსაჯის მოსყიდვაში და თამაშის ეგრეთ წოდებულ "ჩაწყობაში" დაადანაშაულა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**მე-5 ტური**

დინამო (სხ) - სიონი ............. 1:2
დილა - ამერი .................. 0:1
დინამო (ბთ) - ლოკომოტივი ..... 0:1
კოლხეთი - ტორპედო ........... 1:0
კახეთი - სპარტაკი ............. 1:0
დინამო (თბ) - ცხინვალი ........ 1:0
თბილისი - ბორჯომი ........... 0:5

# ალონსოს ჩემპიონობა გაეწელა

სამეფო რბოლათა მე-16 ეტაპის "ბელგიის დიდი პრიზის" უმთავრესი ინტრიგა იმაში იყო, რომ "რენოს" ესპანელ მრბოლს ფერნანდო ალონსოს ნაადრევად შეეძლო მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაედგა, ოღონდ ეგაა, ჩემპიონობა იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ ესპანელი უახლოეს მდევარ მაკლარენელ კიმი რაიკონენზე ოთხ ქულიან უპირატესობას მოიპოვებდა. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელი იყო ჭირვეული ამინდის გამო, რომლის წყალობითაც პარასკევის ვარჯიშზე საჯინიბოთა უმეტესობამ უარი თქვა, ბელგიური "დიდი პრიზი" საერთოდაც ჩაშლილიყო.

გუშინდელი უმთავრესი რბოლისთვის სინოპტიკოსები თავსხმა წვიმას ვარაუდობდნენ, მაგრამ ცოტათი წამოწვიმა და ეგ იყო. მე-16 ეტაპი კი შედგა. მანამდე იყო კვალიფიკაცია, რომელიც წინდაწინვე ინტერესს იწვევდა. საქმე ისაა, რომ მრბოლთა უმეტესობამ ძლიერი წვიმის გამო პარასკევს წრეების საკმაო რაოდენობა ვერ გაიარა. ჩემპიონატის ლიდერმა ფერნანდო ალონსომ, ისევე როგორც მესაჭეთა უმეტესობამ, მხოლოდ შაბათს შეძლო სრულყოფილი ვარჯიში.

...მაკლარენელებმა რაიკონენმა და კოლუმბიელმა ხუან პაბლო მონტოიამ შაბათის კვალიფიკაციისას საკვირაო რბოლისთვის წინა რიგები დაიბევეს.

მონტოია გუშინდელ რბოლაშიც საკმაო ხნის განმავლობაში მოწინავე იყო, მაგრამ მოხდა ისე, რომ რბოლის დასრულებამდე ორი წრით ადრე უილიამსელი ანტონიო პიცონია და იმჟამად მეორეზე მყოფი მონტოია ერთმანეთს დაეჯახნენ. პიცონიამ წინა მარცხენა საბურავი დაკარგა, კოლუმბიელმა კი დამცავ ჯებირთან შეჯახებით დაასრულა რბოლა.

ერთი სიტყვით, რაიკონენმა "ბელგიის დიდი პრიზის" მოგებით, რაც სეზონის მეექვსე გამარჯვებაა მისთვის, ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის შანსები ორი კვირით გაიხანგრძლივა (25 სექტემბერს მე-17 ეტაპს ბრაზილია უმასპინძლებს. რედ.), ჩემპიონატის ლიდერ ფერნანდო ალონსოს კი უმთავრეს ტიტულამდე მანძილი დაუგრძელდა.

რბოლა მესამე შედეგით დაასრულა "BAR-ჰონდას" ინგლისელმა მესაჭემ ჯენსონ ბატონმა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე!

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწვევს შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პირებს "ოჯახის თანადგომისა და შვილობილობის" ქვეპროგრამის სოციალური მუშაკის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროგრამა ითვალისწინებს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის ოჯახური გარემოს შექმნას, ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებას ან მათ ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში განთავსებას (მიმღებ ოჯახებში შვილობილად).

სამუშაო პირობები:
**- სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი;**
**ანაზღაურება - 220 ლარი.**
**- ძირითადი მოვალეობები: სოციალური მუშაკი რჩევას აძლევს და თანადგომას აღმოუჩენს იმ ოჯახებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ შვილების ბავშვთა სახლებში ჩაბარება. სოციალური მუშაკი ეხმარება ინსტიტუციებში მცხოვრები ბავშვების დაბრუნებას ბიოლოგიურ ოჯახებში და ცდილობს მოიზიდოს ალტერნატიული ოჯახები, თანადგომა აღმოუჩინოს მათ, რათა იზრუნონ იმ ბავშვებზე, რომლებიც ვერ უბრუნდებიან საკუთარ ოჯახებს.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**უმაღლესი განათლება (სამედიცინო,პედაგოგიური,ფსიქოლოგიური ან იურიდიული);**
**- ბავშვებთან და ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება;**
**გააჩნდეს ორგანიზატორული ნიჭი;**
**- იცოდეს ბავშვთა უფლებების კონვენცია;**
**სასურველია, ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება;**
**- სასურველია, ინგლისური ენის ბაზისური ცოდნა.**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა, წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

**- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი;**
**ავტობიოგრაფია (CV);**
**- სამოტივაციო წერილი;**
**სოციალური სამსახურის კუთხით ტრეინინგის სერთიფიკატი;**
**- დახასიათება (გთხოვთ, მიუთითოთ იმ პირთა სახელები და საკონტაქტო მისამართები, რომლებიც რეკომენდაციას გაგიწევენ).**

**შენიშვნა:** ავტობიოგრაფია **(CV)** უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს: ბიოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, საკონტაქტო მისამართი, ტელეფონი, დაბადების თარიღი, ოჯახური მდგომარეობა), განათლება, დამატებითი კვალიფიკაცია (ტრეინინგები, გადასამზადებელი კურსები), პროფესიული გამოცდილება (სამუშაო ადგილი, დაკისრებული მოვალეობები), უცხო ენისა და კომპიუტერთან მუშაობის ცოდნა და უნარ-ჩვევები, პირადი ხელმოწერა.

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 25 სექტემბერი**
საბუთების მიღება წარმოებს მისამართზე: თბილისი, დ. უზნაძის ქ.52 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, ოთახი 122. საკონტაქტო ტელეფონი: + 995 22 95 01 76. **საკონტაქტო პირი: თამარ ჟღენტი**

**სააქციო საზოგადოება "დელტა" აცხადებს, რომ 2005 წლის 3 ოქტომბერს 15 საათზე ჩატარდება სააქციო საზოგადოების აქციონერთა კრება. დღის წესრიგით:**

1. განვლილ პერიოდში სააქციო საზოგდოების მუშაობის სამეურნეო დ ეკონომიური შედეგების შესახებ.
2. საორგანიზაციო საკითხები.

**კრება შედგება მისამართზე: ქ.თბილისი, ნუცუბიძის ქ.N6**

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **წყალტუბოს რაიონის სოფ. დღნორისას საშ. სკოლის შენობის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ დღნორისას სათემო კავშირთან "დღნორისა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **სათემო კავშირი "დღნორისა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, წყალტუბოს რაიონი,**
**სოფელი დღნორისა, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი მერაბ ლომთაძე, სათემო კავშირი "დღნორისა"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის **12 სექტემბრიდან** 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, წყალტუბოს რაიონი**
**სოფელი დღნორისა, სკოლის შენობა**
**საკონტაქტო პირი მერაბ ლომთაძე, სათემო კავშირი "დღნორისა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 12 ოქტომბერი 14 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

## შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს კონკურსს

**დანაყოფი:** გადაცემა

**განყოფილება:** პროექტები
**სამსახური:** პროექტების მართვა
**ფუნქციონალური ტიტული /თანამდებობა/:** საველე ინჟინერი

*2 ვაკანსია*

**მიზანი:** სსე-ს მაღალი/საშუალო ძაბვის საჰაერო ხაზებისა და ქვესადგურების ელ.ენერგიის გადაცემის ქსელში მიმდინარე პროექტების ელექტრული ნაწილის განხორციელება.

**ფუნქციები:**

- აკონტროლებს სამშენებლო ობიექტებზე ელექტრომოწყობილობების სათანადოდ დამონტაჟებას.

ამოწმებს მიმდინარე ელექტროსამუშაოების /მათ შორის დამიწების კონტურებისა და სხვ./ ხარისხს.

- აქვს მუდმივი კონტაქტი კონტრაქტორთან ან ჩვენი კომპანიის ბრიგადებთან მათი სამუშაოს ზედამხედველობის მიზნით.

ადარებს მიმდინარე ელექტრო სამონტაჟო სამუშაოების მის თავდაპირველ პროექტს.

- ადგენს მიმდინარე სამუშაოებიში ხარვეზების შესახებ აქტებს და უზრუნველყოფს სამონტაჟო სამუშაოების ხარისხს.

სამონტაჟო სამუშაოების დროს აკონტროლებს დამტკიცებული პროცედურების დაცვას.

- პროექტის ხელმძღვანელთან ერთად ახორციელებს დასრულებული სამუშაოს გადაცემას.

**კვალიფიკაცია/გამოცდილება:**

- დიპლომი ელექტროტექნიკის ან მშენებლობის სფეროში.

ელექტროენერგეტიკის სფეროში მუშაობის 3-5 წლის მუშაობის გამოცდილება.

- კომპიუტერული პროგრამების, როგორიცაა **WORD** და **EXCEL**, ზოგადი ცოდნა-სასურველია.

საშუალო/მაღალი ძაბვის მოწყობილობის გამოყენების სტანდარტების ცოდნა.

- სასურველია ინგლისური ენის ცოდნა ან გაგება.

**პასუხისმგებლობა:** პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია პროექტის ხელმძღვანელის წინაშე.

**პიროვნული თვისებები და საჭირო ცოდნა:**

ჯგუფში მუშაობის უნარი.

- ზედამხედველობის კარგი უნარ-ჩვევები.

**სამუშაოზე მიღების მიმართვის ფორმის მიღება/ჩაბარება შეგიძლიათ სსე-ს კადრების**

**განყოფილებაში 2005 წ 25 სექტემბრამდე სსე-ს სათაო ოფისში: 6| სართული, ოთახი N444.**

## შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს კონკურსს

**დანაყოფი:** გადაცემა
**განყოფილება:** პროექტები
**სამსახური:** პროექტების მართვა
**ფუნქციონალური ტიტული /თანამდებობა/:** პროექტის ხელმძღვანელი
*2 ვაკანსია*

**მიზანი:** სსე-ს მაღალი/საშუალო ძაბვის ქსელში და ქვესადგურებში ელ.ენერგიის გადაცემის პროექტების განხორციელება.

**ფუნქციები:**
- განსაზღვრავს პროექტის სამუშაოს სფეროს, მის ხანგრძლივობას, ღირებულებას და არსებულ რესურსებს და ათანხმებს მას პროექტების განყოფილების /დეპარტამენტის/ მენეჯერთან.

გეგმავს პროექტთან დაკავშირებულ ტექნიკურ, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს.

- ზედამხედველობას უწევს პროექტის განხორციელების პროცესს პროექტის სამშენებლო ობიექტებზე, ზედამხედველობას უწევს პროექტის განრიგის მიხედვით განხორციელებას და ანგარიშს აბარებს პროექტების განყოფილების /დეპარტამენტის/ მენეჯერს.

აკონტროლებს პროექტის განრიგის მიხედვით განხორციელებას.

- საველე ინჟინერთან ერთად უზრუნველყოფს სამოქალაქო და ელექტრო სამუშაოების ხარისხს პროექტის განხორციელების პერიოდში.

გადასცემს ამ ინფორმაციას დაპროექტების ჯგუფს და ამოწმებს დამონტაჟების თავდაპირველ პროექტთან მის შესაბამისობას.

- აკონტროლებს პროექტების დამტკიცებული და განსაზღვრული სტანდარტული პროცედურების შესაბამისად განხორციელებას.

აკეთებს განცხადებას თავდაპირველი გეგმიდან ნებისმიერი გადახვევის შესახებ.

- თვალყურს ადევნებს სამუშაოს მიმდინარეობას და ფაქტობრივ დანახარჯებს.

აკეთებს აგარიშს ან ხელმძღვანელობს **Q/S-**თვის კონტრაქტორების მხრიდან ანგარიშგების წარდგენის პროცესს.

- ახორციელებს დასრულებული სამუშაოების გადაცემას.

**კვალიფიკაცია/გამოცდილება:**
- დიპლომი ელ.ენერგეტიკის /სასურველია/ ან მშენებლობის სფეროში.

ენერგეტიკის სფეროში მუშაობის 10 წლის და მმართველ თანამდებობაზე მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება.

- კომპიუტერული პროგრამების, როგორიცაა **WORD** და **EXCEL**, ზოგადი ცოდნა.

**პასუხისმგებლობა:** პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია პროექტების განყოფილების /დეპარტამენტის/ მენეჯერის წინაშე.

**პიროვნული თვისებები და საჭირო ცოდნა:**
კარგი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები.
- მინიმალური დირექტივებით დამოუკიდებლად მუშაობის უნარი.
მართვის უნარი.
- კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები.
ადამიანის მოტივირების უნარი.
- საბოლოო ვადების დაცვის უნარი.

**სამუშაოზე მიღების მიმართვის ფორმის მიღება/ჩაბარება შეგიძლიათ სსე-ს კადრების**

**განყოფილებაში 2005 წ 25 სექტემბრამდე სსე-ს სათაო ოფისში: 6| სართული, ოთახი N444.**

# 11 სექტემბრიდან 11 სექტემბრამდე

პირველი გვერდიდან

ოთხი წელი გავიდა იმ დღიდან, რომელმაც, ბევრის აზრით, მსოფლიო შეცვალა. 2001 წლის 11 სექტემბრიდან მსოფლიოში გააცნობიერეს, რომ ტერორიზმის მსგავსი საფრთხის წინაშე არასოდეს მდგარან. ახალ საფრთხეს კი ახალი მეთოდებით უნდა ებრძოლო, - დაასკვნეს მსოფლიო ლიდერებმა და დაიწყო სრულმასშტაბიანი ანტიტერორისტული კამპანია. ჯერ იყო, ავღანეთი - პირველად ისტორიაში, ნატო-ს სამხედრო ძალები ალიანსის სამოქმედო არეალის გარეთ გამოიყენეს და გაიმარჯვეს. მსოფლიომ ერთობლივი ძალებით დასაჯა ავღანეთის თალიბური რეჟიმი. პირველად ისტორიაში მსოფლიოს წამყვანი ძალების ინტერესები სრულად დაემთხვა ერთმანეთს. შემდეგ ერაყი - და იგივე, ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგით მოპოვებული "გამარჯვება".

საინტერესოა, ოთხი წლის წინ დაწყებული ომი "ალ-ქაიდას" წინააღმდეგ, რომელმაც ათასობით ადამიანი უკვე შეიწირა, უახლოეს მომავალში დასრულების არანაირ იმედს არ იძლევა. მართალია, თეთრი სახლის მესვეურები აცხადებენ, რომ "ალ-ქაიდას" ცნობილი ლიდერების 2/3 დაკავებულია ან განადგურებულია, მაგრამ აშშ-მ, როგორც ამ ომში მთავარმა მოქმედმა პირმა, ჯერჯერობით ვერ შეძლო "ალ-ქაიდასთან" ასოცირებული რეალური ლიდერების - უსამა ბინ ლადენის, მოლა ომარის, ზავაჰირის და სხვათა რაიმენაირად ნეიტრალიზება; პირიქით, ძველ ცნობილ სახეებს ახლებიც შეემატნენ და "ტერორისტულ სამყაროში" კიდევ უფრო მეტი დიდებითაც შეიმოსნენ. ერაყელი მოქთადა ას-სადრისა და აბუ მუსაბ აზ-ზარქავის სახელები არავის ეცოდინებოდა, რომ არა ერაყში დაწყებული კამპანია დემოკრატიული ღირებულებების (თუ ნავთობმაგნატთა ინტერესების?) დასაცავად.



ოთხი წლის წინ დაწყებული ომის შედეგად მართლმსაჯულების წინაშე ერთადერთი, ყველასათვის ცნობილი პიროვნება სადამ ჰუსეინი წარდგა. თუმცა ვერავინ, მათ შორის ამერიკელებიც, ვერ ამტკიცებს, რომ სადამ ჰუსეინი რეალურად თანამშრომლობდა "ალ-ქაიდასთან". იმის მიუხედავად, რომ თითქმის ყველა ქვეყანა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის იდეას უჭერს მხარს (ზოგიერთები საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლას ამოფარებულნი საკუთარი, შიდა პრობლემების გადაჭრასაც ლამობენ), ამ ბრძოლას დასასრული მაინც არ უჩანს.

11 სექტემბერს ნიუ-იორკში სავაჭრო ცენტრის ადგილზე უკვე მესამედ შეიკრიბნენ პოლიტიკოსები, დაღუპულთა ახლობლები, უბრალოდ, ამერიკის მოქალაქეები. **"დღეს ჩვენ კვლავ მწუხარებაში მყოფი ქალაქი ვართ",** - უკვე მესამედ გაიმეორა ნიუ იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა.

8 საათსა და 46 წუთზე ადგილობრივი დროით, ზუსტად ოთხი წლის შემდეგ მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე პირველი თვითმფრინავის შეჯახებიდან ნიუ იორკში ტრაგედიის ადგილზე შეკრებილმა ხალხმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო დაღუპულთა ხსოვნას. შემდეგ დაღუპული 2792 ადამიანის სახელები და გვარები წაიკითხეს.

9 საათსა და 3 წუთზე, როდესაც მეორე თვითმფრინავი შეეჯახა ცათამბჯენს, დაღუპულთა სიის კითხვა დროებით შეჩერდა და კიდევ ერთხელ შესრულდა წუთიერი დუმილის რიტუალი.

წუთიერი დუმილით აღნიშნეს ცათამბჯენების ჩამონგრევის დროც 9 საათსა და 59 წუთზე და 10 საათსა და 30 წუთზე.

ასე მეორდება, უკვე მეოთხე წელია. ახლაც გავრცელდა პრეზიდენტ ბუშის მიმართვა, რომელშიც ნათქვამია, რომ **"ამერიკას ყოველთვის ემახსოვრება 2001 წლის 11 სექტემბრის საშინელი მოვლენები. ჩვენ ყოველთვის პატივს მივაგებთ უდანაშაულოდ დაღუპულთა ხსოვნას;"** ახლაც შეახსენა ამერიკელებს, რომ ომი, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბერს დაიწყო, გრძელდება და ჯარისკაცებისგან მამაცობასა და გამბედაობას, ხოლო მთელი ამერიკელი ხალხისაგან მოთმინებას მოითხოვს.

2001 წლის დეკემბერში პრეზიდენტმა ბუშმა 11 სექტემბერს პატრიოტის დღე დაანესა. მიზანი ერთი იყო - ნიუ იორკსა და ვაშინგტონში დაღუპულ უდანაშაულო ადამიანთა ხსოვნას პატრიოტული გრძნობები უნდა აღეძრა ერში. თუმცა, ტრაგედიიდან ოთხი წლის თავზე ამერიკელებს (ისევე, როგორც ბევრ სხვასაც დღევანდელ მსოფლიოში) მოსვენებას არ აძლევთ კითხვა - როდის დასრულდება ტერორიზმთან ბრძოლა? ან შეიძლება საერთოდ ტერორიზმის დამარცხება?


## ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ხსნის ოფისს საქართველოში!

თქვენი ბიზნესის პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია. უბრალოდ უნდა იცოდეთ ვის მიმართოთ.*

ზოგჯერ ძალიან ძნელია იცოდე საიდან დაიწყო. ჩვენ ვიცით და ამიტომ გთავაზობთ პროფესიონალებს აუდიტორულ, საკონსულტაციო და საგადასახადო სფეროებში. ისინი ორიენტირებული იქნებიან თქვენი ბიზნესის საკითხებზე და მოგცემენ საჭირო რჩევებს სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

ფრაისვოთერჰაუსკუპერსი
ბამბის რიგის ქ. №7
მარითაშვილის ბიზნეს ცენტრი
საქართველო, თბილისი, 0105
ტელეფონი: [995] 32 508050
ფაქსი: [995] 32 508060

კლიფორდ აიზაკი, მმართველი დირექტორი
clifford.isaak@ge.pwc.com

იური დოლიძე, დირექტორი, აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურება yuri.dolidze@ge.pwc.com

იზაბელა გუტიძე, დირექტორი, საგადასახადო მომსახურება
bela.gutidze@ge.pwc.com

*connectedthinking

PRICEWATERHOUSECOOPERS

©2005 PricewaterhouseCoopers. PricewaterhouseCoopers refers to the individual member firms of the worldwide PricewaterhouseCoopers organization. *connectedthinking is a trademark of PricewaterhouseCoopers. All rights reserved


# კოიძუმი სათავეში რჩება

ხათუნა ბაბიევი

იაპონელ ანალიტიკოსთა და პოლიტოლოგთა პროგნოზები გამართლდა - კვირას გამართულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება ლიბერალ-დემოკრატიული პარტიისა და "ახალი კომეიტოს" კოალიციამ მოიპოვა. 480-მანდატიან პარლამენტში უმრავლესობის მოსაპოვებლად ლიბერალ-დემოკრატებისთვის სულ 241 ადგილიც საკმარისი იქნებოდა. წინა მოწვევის პარლამენტში მათ 249 მანდატი ჰქონდათ, ხოლო "ახალი კომეიტოს" პარტიას, რომელიც მმართველ პარტიასთან კოალიციაში შევიდა - 34 მანდატი; იაპონიის ოპოზიციურ "დემოკრატიულ პარტიას" კი სულ 175 წარმომადგენელი ჰყავდა საკანონმდებლო ორგანოში.

იაპონიის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თავად პრემიერ-მინისტრისთვის, სწორედ ამიტომ, ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის წარმატება, შეიძლება ითქვას, ძუნიტირო კოიძუმის მორიგი გამარჯვებაც იყო. თანაც მმართველი ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვება ამჯერად იმდენად დამაჯერებელია, რომ კოიძუმის კოალიციაში შესვლის გარეშეც შეუძლია ახალი კაბინეტის ფორმირება. გარდა ამისა, ოპონენტთა მარცხი პრემიერს დაგეგმილი რეფორმების გატარების მანდატსაც აძლევს.

კოიძუმიმ, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტი 2001 წლიდან უკავია, პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების ჩატარების აუცილებლობის შესახებ საჯარო განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ოპოზიციურმა დემოკრატიულმა პარტიამ მისი რეფორმების პროექტი დაბლოკა. პროექტი საფოსტო სისტემის პრივატიზაციას ისახავდა მიზნად. იაპონელთა უმრავლესობისათვის საფოსტო სისტემა ბანკის უმთავრეს ფუნქციასთან ასოცირდება. კოიძუმიმ ამ სფეროში რეფორმების გატარების აუცილებლობა იმით ახსნა, რომ საბანკო დეპოზიტებზე დაგროვილი ფული უკვე სერიოზულ ზარალს აყენებდა ქვეყნის საფინანსო სისტემას. გარდა ამისა, პოლიტიკოსები ამ საშუალებას უკვე ძვირადღირებული სოციალური პროექტების დასაფინანსებლად იყენებდნენ, რაც მათ პოპულარობის ზრდის უტყუარ გარანტიებს აძლევდა. სწორედ ამიტომ, პრემიერ-მინისტრმა არჩევნებისათვის მზადების პერიოდში თავისი პროგრამის უმთავრეს ნაწილად საფოსტო რეფორმა დაასახელა.

კოიძუმის ოპონენტმა, დემოკრატების ლიდერმა, კაცუია ოკადამ კი საარჩევნო პროგრამის ჩამოყალიბებისას ორიენტირი საპენსიო რეფორმაზე, ერაყიდან იაპონიის შეიარაღებული ძალების გამოყვანასა და იასუკუნის ტაძარში კოიძუმის ვიზიტის კრიტიკაზე აიღო. რამდენიმე თვის წინ კოიძიმის ვიზიტს ზემოაღნიშნულ ტაძარში საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე - მის ფარგლებს გარეთ. აზიის სახელმწიფოთა უმრავლესობამ იაპონიის პრემიერ-მინისტრის ნაბიჯი ამომავალი მზის ქვეყნის მილიტარისტული წარსულის პოპულარიზაციად შეაფასა.

რაც შეეხება, უშუალოდ, კოიძუმის წინასაარჩევნო პროგრამას, ექსპერტები იმასაც ამბობენ, რომ პრემიერს საფოსტო რეფორმის გატარება თავისივე პარტიის ზოგიერთ წარმომადგენელთან ანგარიშსწორებისთვისაც სჭირდება. **"კოიძუმის ამ გეგმით ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის "ძველი გვარდიის" გავლენის შემცირება სურდა და, როგორც ჩანს, ამ ამოცანას იგი წარმატებით გაართმევს კიდეც თავს. რასაკვირველია, მეორე საკითხია, ამ რეფორმის პროექტის შემუშავებისას კოიძუმის რამდენად აღელვებდა იაპონიის ეკონომიკა, რადგან უდავოა, რომ, პირველ რიგში, საქმე პრემიერის პერსონალურ მოსაზრებებსა და მოტივებს ეხება"**, - აცხადებს დოსის უნივერსიტეტის პროფესორი ნორიკო ჰამა.

იაპონიის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ელექტორატის აქტიურობა, 2003 წელს ჩატარებულ არჩევნებთან შედარებით, გაცილებით მაღალი იყო.

თუმცა, როგორც საარჩევნო უბნებიდან გამოსული იაპონლების უმრავლესობა აღნიშნავდა, არჩევნებში მონაწილეობის უფლების გამოყენება დიდი ალტერნატივის ქონას მაინც და მაინც არ ნიშნავდა.

**"ჩვენ, მართალია, გვაქვს ხმის უფლება, მაგრამ არჩევანი, როგორც ასეთი, არ გაგვაჩნია. ლიბერალ-დემოკრატებისათვის ხმის მიცემა საფოსტო რეფორმის მხარდაჭერასა და ამერიკელებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას ნიშნავს. სამწუხაროდ, დიდ განსხვავებას არც დემოკრატებისათვის ხმის მიცემა მოგვიტანდა. ერთადერთი განმასხვავებელი, ალბათ, ფოსტის პრივატიზაციის პროექტის ჩავარდნა შეიძლებოდა ყოფილიყო"**, - აღნიშნა ერთ-ერთმა ამომრჩეველმა.

ერთი რამ კი ცხადია - არჩევნებში უალტერნატივობა, უშუალოდ, ძუნიტირო კოიძუმის წისქვილზე ასხამდა წყალს.

# "თიბისი ბანკი" მსოფლიოს საუკეთესო ბანკებს შორის ზედიზედ მეოთხედ დასახელდა

## "ფაინენშლ თაიმსმა" 2005 წლის მსოფლიო საბანკო რეიტინგის შედეგები გამოაცხადა

**6 სექტემბერს ლონდონში მსოფლიოს ყველაზე ავტორიტეტული საბანკო კონკურსის, "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) ყოველწლიური საბანკო რეიტინგის შედეგები გამოცხადა, სადაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის ზედიზედ უკვე მეოთხედ დასახელდა ქართული "თიბისი ბანკი".**

"ფაინენშლ თაიმს გრუპი" (Financial Times Group) და მისი ჟურნალი "ბანკერი" (The Banker) ყოველწლიურად განიხილავს მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნიებს საბანკო სექტორს და საუკეთესო ბანკების რეიტინგს ადგენს. ამ კონკურსზე ქართული ბანკების განხილვა პირველად 2002 წელს მოხდა, როდესაც მსოფლიოს "წლის საუკეთესო ბანკებს" შორის "თიბისი ბანკიც" დასახელდა. ეს ფაქტი მთლიანად ქართული საბანკო სექტორის სერიოზულ საერთაშორისო წარმატებად შეფასდა.

წლევანდელი დაჯილდოების ცერემონიალი ლონდონში გაიმართა. ამჯერად საერთაშორისო ექსპერტების მიერ განხილულ იქნა მსოფლიოს 138 ქვეყნის საბანკო სექტორი. "წლის საუკეთესო ბანკების" რეიტინგში თიბისი მოხვდა ისეთი სახელგანთქმული ინსტიტუტების გვერდით, როგორებიცაა: ეიჩ-ეს-ბი-სი (HSBC), "დოიჩე ბანკი" (Deutsche Bank), "იუ-ბი-ესი" (UBS), "ჯეი პი მორგანი" (JP Morgan), "ბანკ ოვ ამერიკა" (Bank of America ), "სითი გრუპი" (CT Group), "მერილ ლინჩი" (Merrill Lynch) და სხვები.

**"დღეისათვის თიბისი ბანკი წარმოადგენს საქართველოში ყველაზე მსხვილ კომერციულ ბანკს, რომლის წილი ქვეყნის მთლიან აქტივებში 27,7%-ია, ხოლო მთლიან დეპოზიტებში - 34,1%. თიბისი ბანკის საქმიანობა გვიჩვენებს ბანკის სერიოზულ ზრდას ბიზნესის დაფინანსების, მაღალი დონის რისკ-მენეჯმენტისა და კარგად დივერსიფიცირებული საინვეტიციო ბაზის კუთხით. გასულ წელს სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა თიბისი ბანკის გაყიდვების სისტემის დახვეწისა და კლიენტებთან ურთიერთობის ჩამოყალიბების მიმართულებით",** - წერს ჟურნალი "The Banker" (სექტემბერი, 2005 წელი).

თიბისი ბანკის პრეზიდენტის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, **"თიბისი ბანკი ყოველთვის ცდილობს იყოს ნოვატორი საქართველოს ბაზარზე. გასულ წელს ჩვენ დავნერგეთ მრავალი ახალი საბანკო მომსახურება და დავხვეწეთ უკვე არსებული, საკმაოდ საინტერესო პროდუქტები. წარმატებით გრძელდება თიბისი ბანკის სტრატეგია ტექნოლოგიური საბანკო პროდუქტების განვითარების მიმართულებით.".**



"ფაინენშლ თაიმს გრუპი" (Financial Times Group) და მისი ჟურნალი "The Banker" 1926 წლიდან ახორციელებენ ექსკლუზიურ საბანკო რეიტინგებს და ამ სფეროში მსოფლიო მასშტაბით ყველაზე კომპეტენტურ ინსტიტუტს წარმოადგენენ. ჟურნალი "The Banker" მთელი მსოფლიოს საფინანსო წრეებში ვრცელდება და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) რეიტინგები მხოლოდ ბანკების უბრალო კლასიფიკაცია არ არის. ეს ორგანიზაცია კონკურსში მონაწილე ყველა ბანკს თავად ირჩევს, ეყრდნობა რა მათ ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს.

კონკურსი სამი კატეგორიის მიხედვით განიხილავს ბანკებს: რეგიონალური ბანკები, საინვესტიციო ბანკები და ტექნოლოგიები. "ფაინენშლ თაიმს გრუპის" (Financial Times Group) და ჟურნალის "The Banker" ჯილდო მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნების საბანკო ინსტიტუტების მიღწევების ოფიციალური აღიარებაა. ამ ჯილდოს მინიჭება ხდება საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, რომელიც აფასებს არა მარტო ბანკების ბოლო ფინანსურ მაჩვენებლებს, არამედ ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისადმი მათი ინოვაციური მიდგომის მაჩვენებელს და, ასევე, ბანკის სტრატეგიულ განვითარებას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან პერსპექტივაზე და მიზნად ისახავს ბაზარზე ბანკის ძლიერ პოზიციონირებას. კონკურსში წარმატების ერთერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმია ბანკის სტრატეგიის და სტრუქტურის შესაბამისობა ბაზრის მომავალ განვითარებასთან.

# სსიფ ადგილობრივი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს

*როგორც ცნობილია, საქართველოს მთავრობა სიღარიბის დაძლევის გრძელვადიან სტრატეგიაზე მუშაობს, რომლის მიზანია მოსახლეობაში ეკონომიკური და არაეკონომიკური შოკებით გამოწვეული რისკებისადმი ოჯახების დაუცველობის შემცირება. მთავრობის ამ სტრატეგიის ძირითადი ელემენტია ეკონომიკური მართვის დეცენტრალიზაცია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე და განვითარების ისეთი ტენდენციის ხელშეწყობა, სადაც წამყვან ძალას საზოგადოება წარმოადგენს. საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (www.gsif.ge) მიზანია საკუთარი წვლილი შეიტანოს მთავრობის ამ ძალისხმევის განხორციელებაში, ხელი შეუწყოს დეცენტრალიზაციას და საზოგადოების მეტი მონაწილეობის პრაქტიკის დამკვიდრებას, მობილიზაცია გაუკეთოს სახელმწიფო და კერძო სექტორების რესურსებს და ინიციატივებს ადგილობრივ დონეზე, დაეხმაროს მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებ სოფლის მოსახლეობას და ხელი შეუწყოს უღარიბეს თემებს სკოლების, საბავშვო ბაღების, წყალ-კანალიზაციის სისტემების, გაზსადენების რეაბილიტაციის საქმესა და სხვა, მათთვის საჭირო, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში. შესაბამისად, სსიფ, საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული წესების მიხედვით და მათივე მიერ გამოყოფილი თანხით (72% - მსოფლიო ბანკი, 28% - საქართველოს მთავრობა), სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს; (სსიფ-ის მიერ განხორციელებული პროექტის გარკვეულ ნაწილს, საქართველოს მთავრობასთან ერთად, აფინანსებს გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.)*

## საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი სამცხე-ჯავახეთში მუშაობას განაგრძობს

**სსიფ თოკისა და ვარგავის მოსახლეობას ხსნად მოევლინა**

სულ რაღაც ერთი თვეა, რაც საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა (სსიფ) თოკი-ვარგავის სოფლებთან მისასვლელი გზის მშენებლობა დაასრულა. ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და მომავლის გეგმებზე საუბრობს.

**"გზა, მართლაც, კარგად გააკეთეს. აქ მანქანებს კი არა, ადამიანებს უჭირდათ სიარული. ახლა ფეხითაც კი ივლი კაცი. ათი სანტიმეტრის სისქეზე მოაყარეს ხრეში..."** - აღნიშნა თოკის მკვიდრმა ანა თამარაძემ.

პროექტი, რომელიც სოფლების - ვარგავისა და თოკის მისასვლელი გზის შვიდკილომეტრიანი მონაკვეთის შეკეთებას ითვალისწინებდა, რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა.

**"... მაგრად მუშაობდნენ. უზარმაზარი ლოდები და ქვები დაბურღეს და ააფეთქეს. წვიმის დროს ტალახში ვეფლობოდით. ამიტომ, წითელი ქვიშაც მოიტანეს და გზებზე მოაყარეს",-** ამბობს სოფელ თოკის მკვიდრი გურამ ზარიძე.

... რამდენიმე ხნის წინ სსიფ-ის წარმომადგენლობა სოფელ ვარგავის საკრებულოში ადგილობრივ მოსახლეობას პრიორიტეტის შერჩევის მიზნით შეხვდა.

**"შეხვედრაზე სოფელმა რამდენიმე პრობლემის გადაჭრა მოითხოვა. ხმების უმრავლესობით, გზის შეკეთება გადაწყდა",** - განაცხადა სოფელ ვარგავის მკვიდრმა ლუბა თარხნიშვილმა.

ამავე შეხვედრაზე სოფლის მოსახლეობამ აირჩია "თემის განვითარების კომიტეტი" 12 კაცის შემადგენლობით.

**"ავირჩიეთ კომიტეტი. მას სტრატეგიული გეგმის დაწერა და გზის სარემონტო სამუშაოების ტექნიკური და ხარჯვითი ნაწილის კონტროლი დაევალა. თანხა (88,337 ლარი) სრულად, მიზანმიმართულად გაიხარჯა",** - ამბობს სოფელ ვარგავის მცხოვრები ნინო ტაბატაძე.

... სოფელ ვარგავში, რომელიც ზღვის დონიდან ათას რვაას მეტრზე მდებარეობს, ათეული წლებია, გზის პრობლემის მოგვარებას მოითხოვდნენ.

**"ამ სოფელში ორმოცდარვა წელია ვცხოვრობ და ამ ხნის განმავლობაში სულ ეს პრობლემა გვაწუხებს. საშველი არსაიდან ჩანდა. ამ გაჭირვებულ ხანაში, სოფელს თუ ასე უპატრონებდნენ და ამ უსაშველო გზას გააკეთებდნენ, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით. უწინ გზაზე მსუბუქი მანქანები ვერ მოძრაობდნენ, წელს კი სტუმრებით გაივსო სოფელი",** - ამბობს სოფელ ვარგავში მცხოვრები ვართუშ ლაზარაშვილი...

დღეს სოფელ თოკისა და ვარგავის მცხოვრებნი გზის პრობლემის მოგვარებით კმაყოფილები არიან და საკუთარი შემოსავლების გაზრდაზეც ინტენსიურად საუბრობენ.

**"აქამდე ავტობუსი რაიონში მხოლოდ ერთ დღეს - კვირას მიდიოდა. მისმა პატრონმა "მარშუტკა" იყიდა და სიარულსაც მოუხშირა. ახლა ხალისი მძღოლსაც აქვს და მის მგზავრებსაც. მძღოლი იმასაც კი ამბობს, თუ მგზავრები მეყოლება, რაიონში ყოველდღიურად ვივლიო",** - ამბობს ანა თამარაძე.

## სოფელი სარო და ხიზაბავრა წყლის მოლოდინშია

სსიფ ასპინძის რაიონის სოფლებში - საროსა და ხიზაბავრაში მინიპროექტს ახორციელებს (277,152 ლარი), რომელიც წყალსადენის რემონტს ითვალისწინებს.

ათეული წლებია სარო-ხიზაბავრას მოსახლეობა სასმელ წყალს რამდენიმე კილომეტრიდან ეზიდება...

სარო- ხიზაბავრას წყალსადენის რემონტს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია "მესხეთი 21" აწარმოებს.

**"ამჟამად მიმდინარეობს სარო-ხიზაბავრას წყალსადენის რეკონსტრუქცია. წყალსადენი სრულად ამარაგებს საროსა და ხიზაბავრას. წაროებს სოფელ ხიზაბავრას შიდა ქსელის ნაწილობრივი რემონტი. სარო-ხიზაბავრას შორის წყალსადენის ტრასის მთლიანად შეცვლა. გაკეთდება საქლორატორო და ახალი ბასეინი",** - აცხადებს სამშენებლო კომპანია "მესხეთი 21"-ის მშენებელ-ინჟინერი თამაზ მელიქიძე.

მშენებარე ორგანიზაციის თანამშრომლებთან ერთად, წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩაბმულია ადგილობრივი მოსახლეობაც. მათგან თხუთმეტი საროელია და რვა ხიზაბავრელი. მოსახლეობა კმაყოფილია, რომ დამატებითი შემოსავლის წყაროც გაუჩნდათ...

უკვე თვეზე მეტია, რვაკილომეტრიანი მილსადენის მშენებლობა მიმდინარეობს, შედეგიც სახეზეა.

**"... სამუშაოების დასრულების შემდეგ სოფელს წყალი სრული გრაფიკით - თორმეტი საათით მიეწოდება",** - აცხადებს თამაზ მელიქიძე.

**"ეს დალოცვილი ხალხი მოვიდა, კრება ჩავატარეთ, შეიქმნა კომისია, ავირჩიეთ პრიორიტეტი და მუშაობაც გაჩაღდა. მშენებლებიც ნამუსიანად მუშაობენ და წყალსადენი, ალბათ, 50 წელიწადზე მეტხანს გაძლებს",-** ამბობს სოფელ საროს მკვიდრი ბიძინა გოგოლაძე...

**"ჩვენი ცისკარა ახლა ეგ ფონდია",-** იმედიანად აცხადებენ საროსა და ხიზაბავრას მცხოვრებნი და ყველა სიკეთეს ახალ წყალსადენს უკავშირებენ.

**P.S. გარდა ზემოაღნიშნულისა: ასპინძის რაიონი - ზველი-ჭობარეთის წყალსადენი (193,5 ათასი ლარი); ნინოწმინდის რაიონი სოფ. ეშტიის (176,164) და დიდი ხანჩალის (136,780 ლარი) სკოლები, ჯიგარაშენი-პატარა ხორენის წყალსადენი (282,337 ლარი); ახალქალაქის რაიონი - კუმურდო-კიროვაკანის წყალსადენი (285,619 ლარი), სოფელ აზავრეთის წყალსადენი (164,308 ლარი), სოფელ ალასტანის ამბულატორია (143,034 ლარი)...**

**ეს გახლავთ მიმდინარე ეტაპზე საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში წარმოებული სამუშაოების არასრული სია. სსიფ ამ რეგიონში 50 ობიექტზე მუშაობს.**

## სსიფ ჩოხატაურის რაიონში სკოლების რეაბილიტაციაზე მუშაობს

გასული წლის ბოლოს, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ ჩოხატაურის რაიონში საშუალო სკოლების რეაბილიტაცია დაიგეგმა. საქართველოს მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი მთელი რიგი პროცედურების შემდეგ, ჩოხატაურის რაიონის 23 საკრებულოდან 4 უღარიბესი თემი შეირჩა. შერჩეულ სოფლებში, სათემო კავშირის წევრებმა პრიორიტეტად სკოლების შეკეთება გამოაცხადეს. **ამჟამად ჩოხატაურის რაიონში მიმდინარეობს ზემო სურების (84 580 ლარი), ზოტის (89 928 ლარი) და ხიდისთავის (94, 339 ლარი) სკოლების რემონტი.**

**ამჯერად, ჩვენ სოფელ ხიდისთავის სათემო კავშირის მუშაობასა და აქ მიმდინარე სკოლის რემონტის შესახებ ვისაუბრებთ:**

ხიდისთავის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ გუდავაძე: **"ჩოხატაურის რაიონში, 23 საკრებულოს თავმჯდომარის მონაწილეობით, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა მოაწყო კონკურსი რაიონში ყველაზე ღარიბი ხუთი სოფლის გამოსავლენად. უღარიბეს სოფლებს შორის აღმოჩნდა ხიდისთავიც. ამის შემდეგ ჩატარდა ტრენინგი სათემო კავშირისა და სოფლის მოსახლეობისთვის. მთავარ პრობლემად სოფელმა სკოლის სავალალო მდგომარეობა მიიჩნია. გაკეთდა პროექტი. შემდეგ ჩატარდა სამშენებლო ტენდერი. ტენდერის შედეგად, გამარჯვებულად გამოცხადდა შპს "ჩოხატაურის საგზაო სამმართველო", რომელმაც შესაბამისი თანხების ფარგლებში, უნდა შეასრულოს სარემონტო სამუშაოები".**

რაც შეეხება ობიექტს, ხიდისთავის საშუალო სკოლას თამამად შეიძლება ისტორიული მნიშვნელობისა ვუწოდოთ. ისიც ფაქტია, რომ სკოლას სასწრაფოდ სჭირდებოდა შეკეთება და პროგრამამაც სულზე მოუსწრო.

მოსახლეობა მიიჩნევს, რომ პრიორიტეტი სწორად იქნა შერჩეული და საშვილიშვილო საქმე კეთდება.

**"აღნიშნული სამუშაოების შესრულების ვადა ა.წ. 10 აგვისტოდან 10 ნოემბრამდეა. დასრულებულია დემონტაჟის სამუშაოები, დაწყებულია მოსამზადებელი და სარემონტო სამუშაოებიც",** - აცხადებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი დავით თალაკვაძე.

როგორც ჩოხატაურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ ოსეფაიშვილი ჩვენთან საუბარში განმარტავს, "რაიონზე გამოყოფილი მთლიანი თანხა შეადგენდა 200 ათას დოლარს. ეს პროექტები მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით ხორციელდება. სახელისუფლებო სტრუქტურები ტენდერის გამოცხადებასა და ფირმების შერჩევაში არ მონაწილეობენ. გამარჯვებულ ორგანიზაციასთან სსიფ აფორმებს ხელშეკრულებას. დამთავრებულ სამუშაოსაც სოციალური ინვესტიციების ფონდი და სათემო კავშირის წარმომადგენელი იბარებენ. ჩვენს შემთხვევაშიც სოფლებში შექმნილია მონიტორინგის ჯგუფები, რომლებიც ასევე, შეამოწმებენ და პასუხს აგებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე".

როცა მშენებარე ობიექტი მოვინახულეთ, სამუშაოები ერთი კვირის დაწყებული იყო: მიმდინარეობს დემონტაჟი, უკვე შემოზიდულია სამშენებლო მასალა; როგორც ერთ-ერთმა მომუშავემ აღნიშნა, **"მალე სკოლას გულშემატკივრის ხელი დაემჩნევა".**

**P.S. სკოლის რეაბილიტაციის პროექტი განახორციელა სსიფ-მა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანშიც, სადაც 83 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები ჩატარდა. ამ ობიექტზე აღდგენითი სამუშაოები უკვე დასრულებულია და ახალ სასწავლო წელს ნიგვზიანის მოსწავლეები სკოლის განახლებულ შენობაში შეხვდებიან!**

**სსიფ ლანჩხუთში სოფელ ჭანჭათის მისასვლელ გზის რეაბილიტაციაზეც მუშაობს. პროექტის ღირებულება 92 ათას ლარამდეა და სამუშაოები რამოდენიმე დღეში დასრულდება. სულ მალე დასრულდება ოზურგეთის რაიონის სოფელ ჯუმათის სკოლის აღდგენითი სამუშაოებიც (93,795 ლარი).**

**სსიფ გურიის რეგიონის მასშტაბით სულ 15-მდე პროექტის განხორციელებას გეგმავს.**



*ჯიმითელი ბავშვები სწავლას ახალგარემონტებულ სკოლის შენობაში შეუდგნენ*



*სარო-ხიზაბავრას წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოები*



*"... მაგრად მუშაობდნენ. უზარმაზარი ლოდები და ქვები დაბურღეს და ააფეთქეს."*



*სსიფ-მა დედოფლისწყაროში გაზმომარაგების მრავალწლიანი პრობლემა მოაგვარა*



*ველისციხის წყალსადენის სამუშაოები*



*ზუგდიდი - განმუხურის სკოლა თითქმის მზადაა*

## სსიფ-ის დახმარებით დედოფლისწყაროში გაზმომარაგების მრავალწლიანი პრობლემა მოგვარდა

მრავალწლიანი უგაზობის შემდეგ დედოფლისწყაროს რაიონში ბუნებრივი აირით მომარაგების პერსპექტივა კვლავ გაჩნდა.

ქალაქ დედოფლისწყაროში გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად სსიფ-მა სამშენებლო ტენდერი ჩაატარა, რომელშიც გამარჯვებული ორგანიზაცია - შ.პ.ს. "ვიტო" გამოვლინდა (დირექტორი ალექსანდრე კირკიტაძე, სამუშაოთა მწარმოებელი რომან მუნჯიშვილი). პროექტის განხორციელება 2005 წლის 10 მაისიდან დაიწყო. იგი უკიდურესად დაზიანებულ უბნებზე ძველი გაზსადენის ახალი, საჰაერო გაყვანილობით შეცვლას ითვალისწინებდა. ქალაქის მთლიანი გაზსადენის სიგრძე 25 კმ-ზე მეტია. ამ პროექტით, დაახლოებით, მესამედამდე სიგრძის ყველაზე მეტად დაზიანებული მონაკვეთის შეკეთება მიმდინარეობს.

როგორც გაზეთ "იმედს" ქალაქ დედოფლისწყაროს სათემო კავშირ "ხორნაბუჯის" თავმჯდომარემ მანანა ყატაშვილმა განუცხადა: **"ქალაქის ბუნებრივი აირით მომარაგების განახლებაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არა სსიფ. აღსანიშნავია, რომ სსიფ აღნიშნულ პროექტს მსოფლიო ბანკის - 72 და საქართველოს მთავრობის 28%-იანი დაფინანსებით ახორციელებს".**

**"წლების მანძილზე უგაზოდ ვიტანჯებოდით - 2 კვირით თუ მოვიდოდა, შემდეგ რამდენიმეთვიანი პაუზა გველოდა. ახლა კი, მადლობის მეტი რა გვეთქმის. ეს ფონდი რომ არა, ღუმელთან გამურვა კიდევ დიდხანს მოგვიწევდა. უსამსახუროდ დარჩენილ ხალხს, ბუნებრივია, იმდენი შემოსავალი არ გვაქვს, რომ "ბალონის გაზი" ვიყიდოთ. ზამთარში, ვფიქრობ, ბუნებრივი აირით გავთბებით, ასე ტყესაც გადავარჩენთ და იაფადაც გამოვალთ",** - აცხადებს დედოფლისწყაროელი მანანა სუარიშვილი...

ქალაქ დედოფლისწყაროს გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტის დასრულება სექტემბრის პირველი ნახევრისთვის იგეგმება. ისე რომ, დედოფლისწყაროელები ზამთრის სიცივესა და ყინვებს ცისფერი ალით გაუმკლავდებიან.

**P.S. ნოემბრის შუა რიცხვებში დედოფლისწაროს რაიონის სოფელ ქვ. ქედაში ექსპლუატაციაში გაეშვება წყალსადენი. სარეაბილიტაციო სამუშაოები ივნისის თვიდან მიმდინარეობს და პროექტის ღირებულება 217,267 ლარს შეადგენს. რაც შეეხება გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტს სოფ. წითელწყაროში, მისი ღირებულება 190,175 ლარი გახლდათ და იგი ა.წ. 3 აგვისტოს დასრულდა.**

## 15 წლის მანძილზე უწყლოდ დარჩენილ ველისციხელებს სასმელი წყალი ეღირსათ

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტებიდან ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის წყალსადენის რეკონსტრუქციაა, რომელიც 72 %-ით მსოფლიო ბანკმა, 28%-ით კი საქართველოს მთავრობამ დააფინანსა. მას შემდეგ რაც სოფელს ალაზნის სასმელი წყლით მომარაგება შეუწყდა, მოსახლეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და ჭაბურღილებისა და უბნეულად იშვიათად ამოსული წყლის იმედად დარჩა...

2004 წელს წყლის პრობლემის მოგვარების პერსპექტივა გამოიკვეთა. კერძოდ, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა, შემუშავებული პროექტით, დაფინანსების ფარგლებში (137 ათასი ლარი) სათაო და წყლის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობის ვალდებულება აიღო. პროექტი სსიფ-ის მიერ გამართულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანია "კავკასავტომაგისტრალმა" განახორციელა...

ველიციხელები სოფლის წყალმომარაგების განახლებასთან დაკავშირებით სიხარულს ვერ მალავენ და ხუმრობით ამბობენ კიდეც, რომ ამდენი უწყლოობის შემდეგ, ახლა წყალმა არ წაგვიღოსო...

**"პროექტში გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია, ამ ეტაპზე არსებობს პრობლემა: მოსახლეობას რომ წყალი სრულად მიეწოდოს, აუცილებელია შიდა ქსელების რეაბილიტაცია. არის უბნები, სადაც წყლის მილები საერთოდ აღარ ვარგა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობისა და სოფლის მოსახლეობის ერთობლივი თანამშრომლობით და ძალისხმევით მოგვარდება",-** ამბობს სოფელ ველისციხის გამგებელი...

პროექტის "სოფელ ველისციხის წყალსადენის რეკონსტრუქციის" დასრულების პრეზენტაცია და წყალსადენის გახსნა აგვისტოს ბოლოს გაიმართა. სხვათა შორის, ამ დღეს ველისციხელები საქართველოს პრეზიდენტს საარჩევნო დანაპირების შესრულებისთვის მადლობის სათქმელად ელოდნენ.

## ჯიმითელი ბავშვები სწავლას ახალგარემონტებულ სკოლის შენობაში შეუდგნენ

ჯიმითის სკოლა, სადაც 250-მდე ბავშვი სწავლობს, 1974 წელს აშენდა. მას შემდეგ სკოლას კაპიტალური სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებია, რის გამოც სკოლის შენობის წინა ფასადის მარჯვენა კედელს ჯერ ბზარი გაუჩნდა, შემდეგ კი გაიხსნა. 2000 წელს თბილისის სეისმოლოგიური ინსტიტუტიდან ჯიმითში ჩასულმა სპეციალისტებმა დაწერეს დასკვნა, რომლის თანახმადაც სკოლის შენობაში სასწავლო პროცესის გაგრძელება დაუშვებელი იყო. **"დასკვნის შემდეგ, რომ სკოლაში სწავლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა, სასწავლო პროცესი სოფლის საკრებულოს შენობასა და ერთ-ერთი ჩვენი მასწავლებლის მეუღლის კუთვნილ ნაგებობაში გაგრძელდა. ძალიან გვიჭირდა არასასკოლო ფართში მუშაობა, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ მაშინ მივმართე სკოლას ბზარი რომ გაუჩნდა. დამპირდნენ, რომ დაინტერესდებოდნენ, მაგრამ წლების მანძილზე არაფერი გვეშველა. ბზარი გაიზარდა და სკოლამ ნგრევა იწყო. სოფელი სკოლის გარეშე რჩებოდა. ვის აღარ ვთხოვეთ დახმარება, მაგრამ სპონსორის მოძიება გაჭირდა, რადგან ძალიან დიდი თანხები იყო საჭირო. რაიონის მაშინდელი გამგებლის გიორგი სიბაშვილის დახმარებით, საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს დავეკონტაქტეთ. თავიდან თითქოს არ გვჯეროდა, რომ ამხელა თანხას - 132, 360 ლარს ვინმე გაიღებდა, მაგრამ ჩვენი პროექტი ჩაჯდა სსიფII-ის პროგრამაში, თუმცა მისი განხორცილება მხოლოდ სსიფ2-ის პროგრამით მოხერხდა. რომ არა ფონდის დახმარება, სკოლა თავზე დაგვენგრეოდა და ისედაც მძიმე პირობებში მყოფი ჯიმითის პრობლემების ნუსხას ეს პრობლემაც დაემატებოდა"-** აღნიშნა გაზეთ "იმედთან" საუბარში სკოლის დირექტორმა ელზა დარჩიაშვილმა.

სოფელ ჯიმითის საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები სსიფ-ის მიერ ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებულმა შპს "ნიკა-96"-მა შეასრულა. როგორც ამ ორგანიზაციის სამუშაოთა მწარმოებელმა, ფირუზ ზარდიაშვილმა გვითხრა, სკოლა სარემონტო სამუშაოებამდე ძლიერ ავარიულ მდგომარეობაში იყო. **"სკოლის კედელი გახსნილი იყო, საძირკვლები დაწეული და თუ შენობის გამაგრებითი სამუშაოები მალე არ ჩატარდებოდა, სკოლის დანგრევა გარდაუვალი იყო. დაფინანსებული პროექტის მიხედვით შესრულდა ყველა გათვალისწინებული სამუშაო. კედლებისა და სკოლის სამივე სართულის შეკეთება-გარემონტების გარდა, შენობის გადახურვა ლითონის თუნუქით მოხდა, (მანამდე სკოლას დამტვრეული შიფერი ეფარა). სკოლის ეზოში აშენდა ახალი საპირფარეშო. საკმაოდ დიდი თანხები დაიხარჯა. ასეთი სახის სამუშაოები დღეისათვის იშვიათად სრულდება"-** ამბობს სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ჯიმითის საშუალო სკოლა, კახეთის რეგიონში სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით 5 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნა, თუმცა ახლად დამთავრებული სამუშაოების გამო, განახლებულ სკოლაში სწავლა მხოლოდ პირველკლასელებმა დაიწყეს, სოფლის საკრებულოს შენობიდან სკოლაში დანარჩენ მოსწავლეთა გადმოსვლა, სავარაუდოდ, 20 სექტემბერს იგეგმება. **"იმიტომ ვაგვიანებთ, რომ ახლად შეღებილი იატაკი და კედლები არ დაზიანდეს. ერთადერთი პრობლემა, რაც სკოლას დღეისათვის დარჩენია, ეს ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების არსებობის 31 წლის მანძილზე საკმაოდ დაზიანებული ინვენტარია, რის განახლებასაც აუცილებლად**

# სსიფ ადგილობრივი განვითარებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტს მთელი საქართველოს მასშტაბით ახორციელებს

**ვაპირებთ",-** აცხადებს ჯიმითის საშუალო სკოლის დირექტორი.

სკოლის აღორძინებით გამოწვეულ კმაყოფილებას ჟურნალისტებთან ვერც სოფლის მცხოვრებლები მალავენ. **"მართალი გითხრათ, არ გვჯეროდა, რომ ამ პრობლემას საშველი დაადგებოდა. მაგრამ სკოლა უკვე აღდგენილია. ბავშვებს უხარიათ. მათ კარგი სწავლის იმაზე მეტი სტიმული აქვთ, ვიდრე მათზე უფროსებს ჰქონდათ, დღეს ხომ ცოდნა უკვე ფასობს. დაწერეთ ყველაფერი რასაც გეუბნებით: მთელი სოფლის მოსახლეობა მადლობას ვუცხადებთ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდს, რომლის გაკეთებული საქმეც სახეზეა, მისი სახელი კი ყველა ჯიმითელს უკვე პირზე აკერია",-** დაგვიბარა სოფლის დატოვებისას ჯიმითელმა პენსიონერმა მარიამ ღვინაშვილმა.

**P.S. სსიფ კახეთის მასშტაბით სხვა არაერთ პროექტზე მუშაობს: ახმეტის რაიონი - სოფ. ქვემო ალვანის სკოლა (99,107 ლარი), ხალაწანის წყალსადენი (65,935 ლარი); სიღნაღის რაიონი - სოფ. ძველი ანაგის სკოლა (98,174 ლარი); გურჯაანის რაიონი - სოფ. ბაკურციხის წყალსადენი (130 ათასი ლარი); ყვარელის რაიონი - ქ. ყვარელის გიმნაზია (149,550 ლარი), სოფ. შილდის სკოლა (154,579 ლარი). სატენდერო რეჟიმშია: ყვარელის რაიონი- სოფ. ენისელის სკოლა (120,608 ლარი), სოფ. გრემის საბავშვო ბაღი (43 ათასი ლარი); ახმეტის რაიონი - სოფ. მატნის სკოლა (95 ათასი ლარი), სოფ. დუისის სკოლა (92,172 ლარი); გურჯაანის რაიონი - სოფ. შაშიანის წყალსადენი (146,879 ლარი)**

## დაბა ქედაში სასმელი წყლის პრობლემა აღარ იქნება

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის ერთ-ერთ პროექტს აჭარის რეგიონში დაბა ქედის წყალგაყვანილობის სიტემის რეაბილიტაცია წარმოადგენს, რისთვისაც ფონდმა 75 ათასი დოლარი გამოყო (72% - მსოფლიო ბანკი, 28% - საქართველოს ხელისუფლება)...

დაბა ქედაში სასმელი წყლის პრობლემა ათწლეულების განმავლობაში იდგა. ახლანდელი წყალგაყვანილობა გასული საუკუნის 30-იან წლებში აშენდა...

დაბა ქედაში წყლის პრობლემის მოსაწესრიგებლად ხელისუფლებამ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მხოლოდ წელს შეძლო. ბიუჯეტიდან 135 ათასი ლარის ოდენობის თანხა გამოიყო, რომლითაც ძველი წყალსადენის სათავე ნაგებობები კაპიტალურად უნდა გარემონტდეს. რაც შეეხება დაბაში წყალგაყვანილობის ქსელს, რომელიც მთლიანად ამორტიზებულია, მას მშველელად საქართველოს სოციალური ინვეტიციების ფონდი მოევლინა. სსიფ სისტემის სრულ რეაბილიტაციას აფინანსებს.

დაბა ქედის საკრებულოში 1000 კომლზე მეტი ცხოვრობს. აქედან სასმელი წყლით 500-ზე მეტი ოჯახი ისარგებლებს...

დაბა ქედელები სსიფ-ის პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის დაწყებას მოუთმენლად ელიან, რადგან ახალი სამუშაო ადგილების გამოჩენის იმედი აქვთ...

**... "დაბა ქედის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია წელს უნდა დასრულდეს. ყველა ოჯახს სასმელი წყალი საკუთარ სახლთან მიუვა",** - განაცხადა სათემო კავშირის თავმჯდომარემ, რომან დიასამიძემ.

აშენებული წყალსადენი პატრონაჟის ქვეშ ქედის კომუნალურ მეურნეობას გადაეცემა. წყალსადენის მშენებლობა, როგორც სათემო კავშირში აგვიხსნეს, გამჭვირვალე და კონტროლირებადი იქნება. მშენებლობას გააკონტროლებს როგორც თავად სსიფ, ისე სათემო კავშირი, ხელისუფლება და მოსახლეობა.

## სსიფ კონფლიქტის ზონის სოფლებში მუშაობს

...აღმოსავლეთ საქართველოს თითოეული რაიონისთვის სსიფ 200 ათასი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს; **"თავდაპირველად, პროექტის მიხედვით, გორის რაიონისთვის გამოყოფილ თანხებში კონფლიქტის ზონის სოფლებიც შედიოდა... მსოფლიო ბანკთან მოლაპარაკებების შედეგად მივაღწიეთ, რომ ამ მხარისთვის ფინანსები დამატებით ყოფილიყო გამოყოფილი, - დაემატა - 200 ათასი ლარი, სამივე ხეობას. ამჟამად სწორედ აქ ვაწარმოებთ ინტენსიურ სამუშაოებს. ამჟამად სსიფ საქართველოში 300-ზე მეტ ობიექტზე აწარმოებს აღდგენით სამუშაოებს, დიდი იმედი გვაქვს, რომ ცხინვალშიც შევალთ",-** განაცხადა "ხალხის გაზეთთან" საუბარში სსიფ-ის აღმოსავლეთ ზონის ჯგუფის უფროსმა თემურ ქარენაშვილმა...

19 აგვისტოს, სოფელ ერედვში სსიფ-ის მიერ კიდევ ერთი, მორიგი ტენდერი გაიხსნა. უნდა აშენდეს ბერულა-ერედვის წყალსადენი. **"გათვალისწინებულია სათავე ნაგებობისა და დრენაჟების მოწყობა. აგრეთვე აშენდება ახალი რეზერვუარი, რომელიც წყალს 430 მეტრზე გაკეთებული მილებით მიიღებს. რეზერვუარში მოხდება წყლის გაუვნებელყოფა, ანუ დაქლორვა, რისთვისაც საჭირო იქნება საქლორატორის აშენება. დაგეგმილია გაკეთდეს გამანაწილებე-**



სოფელ ხვაშითის თემის ცენტრი პროექტის განხორციელებამდე



სოფელ ხვაშითის თემის ცენტრის საბოლოო სახე



სოფელ ნიგვზიანის სკოლა პროექტის განხორციელებამდე



სოფელ ნიგვზიანის სკოლა დღეს



სსიფ კონფლიქტის ზონის სოფლებში მუშაობს - ერედვის კულტურის სახლი



ზუგდიდი - სოფელ რიყეში კულტურის სახლი შერემონტდა

**ლი ქსელი, რომელიც მოიცავს თითქმის მთელი ბერულის საკრებულოს მოსახლეობას. მილები გაივლის ქუჩებში და დამონტაჟდება ე.წ. სახარჯო ონკანები. მოსახლეობას საშუალება ექნება, წყალი საკუთარ ეზოებში ქუჩიდან შეიყვანოს",-** განაცხადა სსიფ-ის აღმოსავლეთ ზონის მთავარმა სპეციალისტმა, გურამ ფალავამ.

...ტენდერის გახსნის შემდეგ, სსიფ-ის წარმომადგენლებმა ერედვის კულტურის სახლში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დაათვალიერეს. კულტურის სახლი კაპიტალურად კეთდება და შესაშური ვიზუალური მხარითაც გამოირჩევა. **"ჩვენ დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ სსიფ-ს, რომელიც ჩვენთან ასეთ სამუშაოებს აწარმოებს. რომ არა ეს ორგანიზაცია, ისედაც გაჭირვებული სოფლის საკრებულო, ნამდვილად ვერ შეძლებდა ასეთ მაღალ დონეზე შეეკეთებინა და მოეპირკეთებინა კულტურის სახლი. ამას მთელი ერედვის მოსახლეობა ხედავს და ყველა კმაყოფილია; ერთი სული გვაქვს როდის გაიხსნება, ამბობენ გახსნაზე პრეზიდენტიც ჩამოვაო",-** გაგვიმხილა ბერულის საკრებულოს გამგებელმა მურმან ქრისტესიაშვილმა...

**P.S. მიმდინარე ეტაპზე სსიფ პატარა ლიახვის ხეობაში სამ პროექტს ახორციელებს: სოფ. დისევის საბავშვო ბაღის რემონტი (193,675 ლარი), ერედვის კულტ. სახლის რეაბილიტაცია (139,190 ლარი), ბერულა ერედვის წყალსადენი (185,852 ლარი).**

## სსიფ-ის მიერ აშენებული ხიდით მალე ოთხი სოფელი ისარგებლებს

სოფელ აგარაში კაპიტალური ხიდი პირველად 1970 წელს აუშენებიათ, მაგრამ 1979 წელს ერთ-ერთი წყალმოვარდნის დროს, ადიდებულმა მდინარემ - ყოროლისთავმა, რომელიც სათავეს მტირალას მთიდან იღებს, ხიდიც წაიღო და მიმდებარე ტერიტორიაც. მას შემდეგ სოფლის მოსახლეობამ არაერთხელ მიმართა მთავრობას დასახმარებლად, მაგრამ ბოლო დრომდე ყურადღება არავინ მიაქცია.

სულ მალე კი საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ, მსოფლიო ბანკის და საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარაში, "საშვილიშვილო საქმე" - ხიდის მშენებლობა დაიწყება.

უხიდობის გამო ამ სოფლის 280-მდე ბავშვი ცუდ ამინდში სკოლაში ვერ დადიოდა...

ხიდით ისარგებლებს ოთხი სოფელი: ქვემო აგარა, ზემო აგარას ნაწილი, ახალისოფელი და მაჭუტაძეები, სულ 280 ოჯახი. **"ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ბავშვებს სკოლაში თავისუფლად სიარულის საშუალება მიეცემათ. ეს პრობლემა წლების განმავლობაში ვერ გადაწყვიტა მთავრობამ. მხოლოდ ახლა მოხერხდა თანხების მოზიდვა და ჩვენი მიყრუებული სოფელიც გაიხსნეს",** - აცხადებს ზემო აგარას მკვიდრი - ზაურ ვარშანიძე.

...აშკარაა, რომ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მიერ ჩატარებული წინასწარი სამუშაოების შედეგად (ეს პროცედურა მკაცრადაა განსაზღვრული მსოფლიო ბანკის მიერ), ზუსტად იყო გამოვლენილი უღარიბესი საკრებულო - ორთაბათუმი. სწორედ ამ საკრებულოში შემავალი სოფელია აგარა. აქაური გლეხი სოციალური თვალსაზრისით უმძიმეს მდგომარეობაშია. ხალხი ხიდის მშენებლობას იმედიანად უყურებს და მშენებლობის სამუშაოების შესრულებისთვის გამოყოფილი თანხის გაკონტროლებას აქტიურად აპირებს.

ამისათვის სოფელმა თემის განვითარების კომიტეტი თავად აირჩია. **"ჩატარდა კრება და ხალხმა შვიდკაციანი კომისაია აირჩა. რჩეულებს ვენდობით. ისინი თავად სსიფ-ის წარმომადგენლებთან ერთად იმუშავებენ და, შესაბამისად, კონტროლიც მაქსიმალურად მოხერხდება",** - ამბობს ამ სოფლის მკვიდრი შოთა ბოლქვაძე.

## პროექტები კასპის რაიონში

სსიფ-ის პროგრამის მიხედვით, აქტიური მუშაობა გაიშალა კასპის რაიონშიც... ზემო ხანდაკის საკრებულოში სულ სამი სოფელი შედის: ზემო ხანდაკი, კალოუბანი და ჭყობიანი - 694 ოჯახითა და 2126 მოსახლით... ზემოხანდაკელებს სახმელი წყლის პრობლემა უსაშველოდ აწუხებთ. ზემო ხანდაკში, ამ საკმაოდ დიდ სოფელში, მხოლოდ რამდენიმე ონკანიდან მოწანწკარებს წყალი, ისიც დაბინძურებული. ასეთივე მდგომარეობაა პატარა სოფელ კალოუბანშიც. წყლის დეფიციტი იმან გამოიწვია, რომ სოფელ თეძმისხევთან არსებული სათავე ნაგებობა დროთა განმავლობაში, მდინარე თეძმის დაბლა დაწევის შედეგად, მაღლა მოექცა, საკმაოდ მოძველდა და წყალი თვითდინებით საკმარისად ველარ მოემართება წყალსადენში, ამიტომ ნაგებობამ თავის ფუნქცია თითქმის მთლიანად დაკარგა.

სსიფ-მა და ადგილობრივმა თვითმმართველობამ ხალხის მიერ არჩეულ სათემო კომიტეტთან (ათი კაცი) ერთად იმსჯელა და არსებული პრობლემებიდან პრიორიტეტად სწორედ ეს საკითხი აირჩია, - გადაწყდა წყალსადენის რეკონსტრუქცია.

ზემო ხანდაკის წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკმა პროექტის საერთო ღირებულების (133,398 ლარი) 72% გამოყო, საქართველოს მთავრობამ - 28%. **ამჟამად ზემო ხანდაკის წყალსადენზე გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. მობილიზებულია უამრავი ტექნიკა და მუშახელი. არსებული პროექტის მიხედვით, ყოფილი სათავე ნაგებობა თეძმისხევთან უქმდება და იგი აშენდება სოფელ ჭყოპიანთან ახლოს, ე.წ. თეძმის "კაშხალთან" ძველი ნაგებობიდან 877 მეტრით უფრო ზემოთ. აი, ამ მანძილზე იყრება 219 მმ დიამეტრის მილები. 200 მეტრზე იჭრება სადრენაჟე არხი, მონტაჟდება ფილტრი, მიმდინარეობს არსებული რეზერვუარის შეკეთება.**

"ყველა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ნაკისრ ვალდებულებას. ერთი დღით არ წყდება მუშაობა. გეგმით რეკონსტრუქცია პირველი იანვრისთვის უნდა დაამთავრონ, ჩვენი მცხოვრებლები ნამდვილ საახალწლო საჩუქარს მიიღებენ", - თქვა ჩვენთან საუბარში ზემო ხანდაკის საკრებულოს ახალგაზრდა თავკაცმა ილია ქამხაძემ...

**P.S. კასპის რაიონში ასევე მიმდინარეობს სოფელ დოესის (86 ათასი ლარი, დასრულება სექტემბრის შუა რიცხვებში) და სოფელ წინარეხის (78,724 ლარი, დასრულება ნოემბრის ბოლოს) წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

## თერჯოლის რაიონის სკოლებში წვიმის აღარ შეეშინდებათ

... ვითარებიდან გამომდინარე, სსიფ თერჯოლის რაიონში სამი სკოლის - **ეწერის (122,477 ლარი), თუზის (ვარდიგორა) (90 ათასი ლარი) და თერჯოლის N2 (90 ათასი ლარი)** რემონტს ახორციელებს. რაიონში სსიფ-ის და საქართველოს მთავრობის მიერ დაგეგმილი მეოთხე პროექტი კი სოფელ ბარდუბანში მდინარე ყვირილაზე ხიდის მოწყობას ითვალისწინებს.

**..."ამ სკოლიდან თაობები ისე წავიდნენ, სპორტდარბაზი რა არის, არ იციან. ჩვენი უპირველესი პრობლემა მაინც სველი წერტილებია. ადრე ისინი სართულებზე იყო განლაგებული, მერე მოიშალა და მილებიც დაიმსხვრა. ახლა ორი საპირფარეშო გვაქვს და 500 ბავშვი 10 წუთიან დასვენებაზე დიდი მოთმინებით ელოდება რიგს. სკოლას ასევე დაზიანებული აქვს ფანჯრები, იმედია, სსიფ-ის დახმარებით სიტუაცია გამოგვისწორდება..."-** იმედოვნებს თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი...

ტენდერი უკვე ჩატარდა ეწერის სკოლაში. მალე გამარჯვებული ფირმა მუშაობას შეუდგება.

ასე რომ, ორ-სამ თვეში თერჯოლის რაიონში ბავშვებს წვიმის აღარ შეეშინდებათ...

**P.S. სსიფ-მა იმერეთის რეგიონში ახალი სასწავლო წლისთვის უკვე გაარემონტა 4 სკოლა: ვანის რაიონში სოფ. სალომინაოს სკოლა (74,935 ლარი); ჭიათურის რაიონში სოფ. გეზრულის სკოლა (66,534 ლარი); ტყიბულის რაიონში სოფლების საწირესა (86,590 ლარი) და ოჯოლას (74,471 ლარი) სკოლები.**

**მიმდინარე ეტაპზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს მრავალ ობიექტზე: ბაღდათის რაიონი - სოფ. როკითის სკოლა (132 ათასი ლარი), სოფ. ნერგეთის სკოლა (130,651), სოფ დიმის სკოლა (131,562); ხარაგაულის რაიონი - სოფ. ხევის სკოლა (79,809 ლარი), სოფ. წყალაფორეთის სკოლა (83,393 ლარი), სოფ. ვახანის სკოლა (86,728 ლარი) - (პროექტები ფინანსდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ); ვანის რაიონი - სოფ. ყუმურის სკოლა (90,650 ლარი), სოფ. მუქედის სკოლა (70 ათასი ლარი); სამტრედიის რაიონი - სოფ. დიდი ჯიხაიშის სკოლა (78,826 ლარი); საჩხერის რაიონი - სოფ. იტავაზას სკოლა (90,300 ლარი);**

## მალე აღდგება გზა, რომელიც ქვემო და ზემო ფოცხოს ერთმანეთთან დააკავშირებს

... საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის მეშვეობით და ძალისხმევით, სამეგრელოს რეგიონში არაერთი ობიექტის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

**ზუგდიდის რაიონის სოფელ რიყეში დასრულდა კულტურის სახლის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 94700 ლარი დაჯდა. თანხის 72% მსოფლიო ბანკმა, ხოლო 28% საქართველოს მთავრობამ გამოყო.**

**ასეთივე თანადაფინანსებით რეაბილიტაციის ეტაპზეა არაერთი ობიექტი; ისეთები, როგორებიცაა ზუგდიდის რაიონში სოფელ განმუხურის სკოლა (92,501 ლარი), სოფელ ანაკლიის სკოლა (88,352 ლარი), ახალსოფლის საყუფუნოს და საკუზოს უბნის ხიდები (237,780 ლარი). ჩხოროწყუს რაიონში მდ. ხობისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები (125,852 ლარი), სოფელ ჭოღას სკოლა (128,394 ლარი), სოფელ ლესიჭინეს ხიდი (114,864); სენაკის რაიონში სოფ. თეკლათის სკოლა (102,270 ლარი); მარტვილის რაიონში სოფ. გაჭედილის სკოლა (84,263 ლარი); ხობის რაიონში ხობის ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (142,217 ლარი).**

არაერთი ობიექტია სატენდერო რეჟიმში. ამჟამად, ერთ-ერთი მათგანის შესახებ: ცხრა აგვისტოს სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე უფლების მოსაპოვებლად სამშენებლო ტენდერი ჩატარდა. აღნიშნული გზების რეაბილიტაციისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი 136 ათას ლარს შეადგენს.

აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციად სააქციო საზოგადოება "არქეოპოლისი"" გამოცხადდა. აღნიშნულ ტენდერთან დაკავშირებით, გაზეთი "მთავარი სამეგრელოში" ფოცხოს საკრებულოს გამგებელს, გოჩა მამულიას გაესაუბრა:

**"ეს ტენდერი იმ ორგანიზაციის გამოვლენას ისახავდა მიზნად, რომელიც სენაკის რაიონის სოფელ ფოცხოში 3,6 კილომეტრიანი გზის მთლიან რეკონსტრუქციას ჩაატარებს. ეს ის გზაა, რომელიც ქვემო ფოცხოსა და ზემო ფოცხოს ერთმანეთთან აკავშირებს. აქამდე ამ ორ სოფელს შორის დამაკავშირებელი გზა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. აღნიშნულ პროექტს ახორციელებს საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი, რომელიც, როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მსგავს პროექტებს ახორციელებს არა მარტო ფოცხოსა და სამეგრელოს სხვა რაიონებში, არამედ მთლიანად საქართველოს მასშტაბით. რაც შეეხება დონორ ორგანიზაციას, აღნიშნული სამუშაოების 78%-ს მსოფლიო ბანკი, 28-ს კი საქართველოს მთავრობა დააფინანსებს. რა თქმა უნდა, ამ პროექტის განხორციელებას მოსახლეობა დადებითად უყურებს და პროექტის დასრულებას ყველა ველოდებით",-** განაცხადა ჩვენთან საუბარში გოჩა მამულიამ.

## ჭრებალოში ნანატრ წყალს ელიან

... დღეს ჭრებალოელებისთვის განსაკუთრებული პრობლემას სასმელი წყლის უქონლობა წარმოადგენს. აქაური წყალსადენი მრავალი წელია, დაზიანებულია. გარდა ამისა, სოფელი გაიზარდა, ახალმოსახლეები შეემატნენ, წყალი ყველასთვის საკმარისი არ არის...

ამიტომაც, როცა საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა დახმარების ხელი გაუწოდათ, აქაურმა მოსახლეობამ პროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური ინფრასტრუქტურიდან პრიორიტეტად წყალსადენის რეკონსტრუქცია აირჩია და გადაწყვიტა, სსიფ-ის მიერ გამოყოფილი 70 ათასამდე ლარით სწორედ ეს პრობლემა მოეგვარებინა.

ტენდერში გამარჯვებულ სააქციო საზოგადოება "ერის იმედს", **პროექტის თანახმად, ჭრებალოელებისთვის წყალი მეზობელი სოფლის- ტოლის ზემოთ მდებარე მთიდან გამოჰყავს. მთის ფერდზე მდებარე სამი წყაროსთვალი ჯერ ერთ წყალსემკრებში უნდა მოექცეს და შემდეგ უნდა დაეშვას სოფლისკენ.**

**ეს შრომატევადი სამუშაო უკვე განხორციელდა - წყალშემკრები დამონტაჟდა. იქვე გაკეთდა საქლორატორო, მილებიც უკვე ჩალაგდა მიწაში.**

მოსახლეობა, ბუნებრივია, კმაყოფილია. ჭრებალოს საკრებულოს თავმჯდომარის ბაკურ სანთელაძის თქმით, **ამ წყალსადენის რეკონსტრუქციის შემდეგ სოფლის ყველა მოსახლე წყალს მიიღებს, მათ შორის ჭყვიშის საკრებულოში შემავალი ის ოჯახებიც, ტერიტორიულად, რაიონის მთიანი ბუნებიდან გამომდინარე, ჭრებალოს რომაა წაბმული.**

**P.S. სსიფ რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში სხვა პროექტებსაც ახორციელებს: ონის რაიონი- სოფელ შქმერის თემის ცენტრის (90 ათასი ლარი) და სოფელ ბარის ელექტროგადამცემი ხაზების (90 ათასი ლარი) რეაბილიტაცია; ამბროლაურის რაიონი - სოფელ ბუგეულის (132 ათასი ლარი) და სოფელ საკეციას (69 ათსი ლარი) წყალსადენის აღდგენა, სოფელ თხმორი-ნამანევი-ხონჭიორის გზა (80 ათასი ლარი); ცაგერის რაიონი - სოფელ ნაკურალეშის თემის ცენტრი (87 ათასი ლარი), სოფელ ორბელის სკოლა (125 ათასი ლარი); ყველა პროექტის დასრულება მიმდინარე წლის ბოლომდეა დაგეგმილი.**

მომზადდა პრესაში - **"სამხრეთის კარიბჭე"** (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი), **"გურია ნიუსი"** (გურიის რეგიონი), **"იმედი"** (კახეთის რეგიონი), **"ბათუმელები"** (აჭარის რეგიონი), **"ხალხის გაზეთი"** (შიდა ქართლის რეგიონი), **"P.S."(პოსტსკრიპტუმი)** (იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონი), **"მთავარი სამეგრელოში"** (სამეგრელოს რეგიონი) - გამოქვეყნებული წერილების მიხედვით.

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი მადლობას უხდის რეგიონულ პრესას სახელმწიფოებრივი პოზიციისა და სსიფ-ის მიერ წარმოებული სამუშაოების ობიექტური გაშუქებისთვის.**

# ინდურ ლეგენდაში შეხვეული ახალი ბალეტი

*მართალია, ჟენევის ბალეტმა გაგვაწბილა, მაგრამ თანამედროვე ბალეტის მოყვარულთ საინტერესო სანახაობა ბრიტანეთის საბჭომ წარმოუდგინა. ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ჩამოკიდებული უზარმაზარი აფიშა, თავდაყირა ამოტრიალებული ადამიანებით, ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. ეს ის შემთხვევა აღმოჩნდა, როცა ნამუშევარი თავისსავე წარმატებულ რეკლამას ამართლებს.*

სოფო კილასონია

თანამედროვე ცეკვა ბრიტანეთიდან. აკრამ ხანის კომპანია - სწორედ ასე დასათაურდა ის წარმოდგენა, რომელიც 9 და 10 სექტემბერს გაიმართა თეატრში. თანამედროვე ბალეტი საერთოდ მეტად ფართო მცნებაა, იმდენად ფართო, რომ გამოკვეთილი კონტურები ევროპაში დიდი ხანია დაეკარგა. მასში ერთნაირად ცოცხალია კლასიკური ფორმებით აგებული ახალი ბალეტი და, უბრალოდ, მოძრაობამდე დასული პლასტიკა. ჯერ კიდევ აქტუალურია საბალეტო დრამატული სპექტაკლები, როცა მის პარალელურად ლამის მთელი საფრანგეთი და ნახევარი ინგლისი ასოციაციებით, ინსტინქტებითა და შეგრძნებებით ცდილობს ამოძრავებას. თუმცა, ხელოვნების სხვა მიმართულებებისგან განსხვავებით, ქორეოგრაფიას იდეა, მიზანი და სურვილი არ დაუკარგავს. ნებისმიერ შემთხვევაში ის ისევ საკუთარ საწყისს - მუსიკას მიუბრუნდა და რაც ყველაზე მთავარია, ფორმათა ძიება არ მობეზრდა.

მართალია ქართულმა ბალეტმა, სხვათაშორის, ამ ბოლო დროს დიდად ტანჯულმა მცნებამ, ბევრი გამოტოვა, ახლა კი რაღაც პროცესების გაუვლელად აღორძინებას აპირებს, მაგრამ ახალგაზრდა და ნიჭიერი აკრამ ხანი ფიქრობს, რომ საქართველო და ქართული კულტურა ნებისმიერ შემთხვევაში მზადაა, ახალი პლასტიკის ხელოვნებას მიუხვდეს და შეითვისოს. მიზეზი კი, მისი აზრით, ჩვენი ხელოვნებისთვის დამახასიათებელი სულიერება ყოფილა. "თანამედროვე ქორეოგრაფიამ ბევრი რამ გადაიტანა და რაღაც პროცესები კიდეც დაასრულა. ახლა სულიერებისკენ დაბრუნების დროა და ეს ასეც მოხდება,"- წარმოშობით ინდოელი ქორეოგრაფის ეს სიტყვები ზედაპირული მომეჩვენა, აზრის გასაგებად მის ნამუშევარში ჩაღრმავება ვარჩიე.

აკრამ ხანის ბალეტს ბრიტანული კრიტიკა დიდად ანებივრებს, ევროპის თეატრები კი მისი კომპანიის სტუმრობისთვის რიგში დგებიან. მან თითქმის ყველა პრესტიჟული ჯილდო და წოდება მიიღო, რითიც შეიძლებოდა ბრიტანეთში თანამედროვე ქორეოგრაფი დაჯილდოვებულიყო. აკრამ ხანმა ის მაყურებელი მოხიბლა და გააკვირვა, რომლის გულის მოგება "ახლებური ხელოვნებით" ძალიან რთულია. რა იყო თქვენი წარმატების მიზეზი? - ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გაუჭირდა, თუმცა ჩემს ბანალურ კითხვას ბრიტანეთის საბჭოს წარმომადგენლებმა უპასუხეს: "აკრამ ხანმა ახალი განზომილება შესძინა სხვადასხვა კულტურის შერწყმის პროცესს და სიცოცხლისუნარიანი გახადა მათი ერთობლივი გამოხატვის საშუალებები, რაც განპირობებულია მისი დასავლური თანამედროვე ცეკვის ღრმა ცოდნითა და მისი მშობლიური კათაკის, ინდური კლასიკური ჟანრის ტრადიციებით."

სცენაზე ყველაფერი იყო რაც აბსოლუტურ ყურადღების იმსახურებდა: საინტერესო განათება და სასცენო დიზაინი, ტამტამები, ჩელო, ალტი... სცენას გარს მუსიკოსები და ინდური ტრადიციული სიმღერების შემსრულებლები შემოუსხდნენ, სცენა ჩააბნელეს. პირველი ბგერები, სინათლის სხივები და პირველი ფიგურები ერთად გამოჩნდნენ. ნუ ეგონება მკითხველს, რომ ოპერის თეატრში ისეთი ცეკვა-სიმღერა გაჩაღდა, რაც ტრადიციულ ინდურ ფილმებში



გვინახავს. სპექტაკლი, სახელად "მა", მუსიკის, სიტყვის და მოძრაობის უმაღლესი სინთეზის გამოვლინება, ტრადიციისა და თანამედროვე გამოცდილების შერწყმა გახლავთ. დიახ, უაღრესად დახვეწილი შერწყმა და სინთეზი... ცოცხლად შესრულებული მუსიკა, სადაც ინსტრუმენტს ადამიანური ხმოვანება სჭარბობს და ემოციებითა და გრძნობებით გამდიდრებული პლასტიკა. ალბათ, ეს არის აკრამ ხანის, ჩვენთვის უკვე ნაცნობი დადგმის ყველაზე დიდი მომხიბვლელობა.

დადგმა, პირობითად, სამ ნაწილად დაიყო: თავიდან, როცა მოცეკვავეებმა ყველა ის ძირითადი პლასტიკური თემა წარმოგვიდგინეს, რაც შემდგომში უნდა განვითარებულიყო; მეორე ნაწილში მუსიკა და ძალიან საინტერესო მელოდიები დაწინაურდნენ; მესამე დამაგვირგვინებელ აქტში მსახიობები მაყურებელთან კონტაქტი მეტად შევიდნენ, თავად ქორეოგრაფმა ცეკვა-ცეკვით ჯერ ინდური ანბანი შეგვასწავლა, შემდეგ საკუთარი ბავშვობა გაიხსენა. ამას ის ინდური ლეგენდა მოჰყვა, რომელზეც აიგო ბალეტი და შეიქმნა მუსიკა. თავად ბალეტში მთავარი და წამყვანი თავისუფალი მოძრაობისა და ფორის ნათესაობა აღმოჩნდა. ხშირი ასიმეტრიისა და იშვიათად სინქრონული მონახაზების ფონზე აკრამ ხანის ნიჭი მშვენივრად გამოჩნდა. ნიჭი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მუსიკის შეგრძნებაში და კომპოზიციის აგებაში ვლინდება.

ბრიტანეთის საბჭოს კულტურის განყოფილებისთვის 9 და 10 სექტემბრის საღამოები ნამდვილად წარმატებული გამოდგა. აკრამ ხანის კომპანიამ თბილისელი მაყურებლის ოვაციები დაიმსახურა. აქამდე არც ერთ თანამედროვე საბალეტო დადგმას ასეთი შთაბეჭდილება ჩვენს მაყურებელზე არ მოუხდენია. არცთუ ისე გადავსებულ დარბაზში მქუხარე შეძახილები ისმოდა, სცენაზე უნიჭიერესი ადამიანების გუნდი იდგა. ამ გუნდმა საოცარი ოსტატობით და სითბოთი შესრულებული პერფორმანსის მსგავსი წარმოდგენით, თანამედროვე ბალეტზე შეხედულება ბევრს შეაცვლევინა.


## განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტს "იძულებით გადაადგილებული პირთა კომუნალური ცენტრების რეაბილიტაცია საქართველოში". ამ პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი შემდეგი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასყიდად:

ლოტი 1- წალენჯიხის რაიონული საავადმყოფოს ყოფილი შენობის სახურავის, ელგაყვანილობის, საპირფარეშოსა და კანალიზაციის რეაბილიტაცია;
ლოტი 2- ვანის რაიონის სოფელ შუამთის პროფსასწავლებლის საერთო საცხოვრებელის სახურავის, ელგაყვანილობისა და კარ-ფანჯრების რეაბილიტაცია;
ლოტი 3- ფოთის 201-ე ქარხნის ბაგა-ბაღის სახურავის, აბანოს, საპირფარეშოს, ფანჯრებისა და წყალმომარაგების რეაბილიტაცია;

სატენდერო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება ტენდერში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ 12 სექტემბრიდან შემდეგ მისამართებზე:
ქ. თბილისი ლესელიძის ქ. N32; საკონტაქტო პირი მალხაზ ქორთუა ტელ: 822 98 59 14;
877 45 10 80 და ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N89. მე-2 სართული, (ყოფილი სასტუმრო "ოდიშის" შენობა) საკონტაქტო პირი ნატო მესხია, ტელ: 8215 5 01 77; 893 96 07 27

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართებიდან ერთ-ერთზე:
22 სექტემბრის 14:00 საათამდე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ.N89. ასევე 20 სექტემბერის 17:00 საათამდე ქ. თბილისი ლესელიძის ქ.N32.

*სატენდერო კომისია*


# განახლებული სეზონი განახლებული სპექტაკლით იწყება



სოფო კილასონია

*7 სექტემბერს ოპერისა და ბალეტის თეატრისთვის 154-ე თეატრალური სეზონი გაიხსნა. თითქოს არაფერი განსაკუთრებული, კიდევ ერთი საზეიმო "აბესალომ და ეთერი", კიდევ ერთხელ შეკრებილი ნაცნობი საზოგადოება, მსმენელი რომელიც ფალიაშვილის ქმნილების ნამდვილი ექსპერტია, ქმნილებისა, რომელიც მას არასდროს ბეზრდება და რომელსაც მუდამ დაკვირვებით და რუდუნებით ეპყრობა. სწორედ ეს დაკვირვებული მსმენელი მიხვდებოდა, რაოდენ ბევრით განსხვავდებოდა წლევანდელი "აბესალომ და ეთერი" გასული წლების წარმოდგენებისგან.*

დიახ, სპექტაკლი სულ სხვა იყო და ამის მიზეზების ძიება, ბუნებრივია, დირიჟორზე საუბრით უნდა დავიწყოთ. ზაზა აზმაიფარაშვილმა ზაქარია ფალიაშვილის ამ ოპერას პირველად უდირიჟორა. ეს მოვლენა ბატონი ზაზასთვის, როგორც შევიტყვე, დიდი სიხარული და ასევე, დიდი პასუხისმგებლობა ყოფილა. თუმცა სიტყვებს იოლად ვერ დავუჯერებდი, რომ არ მენახა და მომესმინა. შესაძლოა, მახსოვრობა მღალატობდეს, მაგრამ ამგვარად, "ბოლო ბგერამდე" აჟღერებული ეს ოპერა დიდი ხანია, აკადემიური თეატრის მსმენელს არ მოუსმენია. ჰარმონიაში მოსულმა გუნდის ძლიერმა ხმოვანებამ და ორკესტრის "ჯანმრთელმა" ჟღერადობამ მართლაც აღფრთოვანებაში მოიყვანა მსმენელი და იმ საღამოს ჭეშმარიტი სიამოვნება მიაღებინა. აზმაიფარაშვილმა, როგორც იტყვიან, ახალი და თავისებური სული შთაბერა ნაწარმოებს, რაც, პირველ რიგში, მუსიკალური გადაწყვეტის ერთგვარ მასშტაბურობაში გამოვლინდა.

დირიჟორის წარმატება არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ არა "აბესალომი" და "მურმანი", ანუ ჩვენი საამაყო ტენორი გიორგი ონიანი და თეატრის ყველაზე ლამაზი ხმით დაჯილდოებული ბარიტონი სულხან გველესიანი. რომ აღარაფერი ვთქვათ მათ მიერ, როგორც ყოველთვის, დიდი კულტურით, სიზუსტით და, როგორც ვოკალისტებს ხშირად უყვართ თქმა, ფერებში შესრულებულ არიებზე, ის მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი ხმები იმ დღეს არაჩვეულებრივად ერწყმოდა ერთმანეთს.

ეთერის სახე 7 სექტემბერს სოფიო ჯანელიძემ პირველად შექმნა. მისი დებიუტი მთლიანობაში, ალბათ, წარმატებული გამოდგა, თუმცა სამუშაო, როგორც ჩანს, კიდევ ბევრი აქვს დამწყებ ვოკალისტს. ეს კი, დეტალებს თავი რომ დავანებოთ, განსაკუთრებით მის სამსახიობო შესრულებას ეტყობოდა.

11 სექტემბერს ოპერის სცენაზე "აბესალომ და ეთერი" კიდევ ერთხელ შესრულდა. ამჯერად აბესალომის პარტიას ალექსანდრე ხომერიკი ასრულებდა.


ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამორჩეული სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ----------

მისამართი ----------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

დაბადების თარიღი ----------

სკოლა ----------

კლასი ----------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ----------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ----------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ----------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე: სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 380077 თბილისი

ბლანკი უფასოა



## საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს

**სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის**
წარმოების დასაფინანსებლად

გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდება მაქსიმუმ 75%-ით.

კინოცენტრიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 400 000 ლარს.

ეროვნული კინოცენტრი არ განიხილავს პროექტებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2005 წლის 26 აპრილს გამოცხადებულ კონკურსში და ვერ დააგროვეს 45 ქულაზე მეტი.

პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 24 ოქტომბერი, 17:00 სთ.

ყოველ სამშაბათს, 12 საათზე ჩატარდება კონსულტაცია დაინტერესებულ პირთათვის.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
0105 თბილისი, მარჯვენა სანაპირო 4,
ტელ/ფაქსი: 984201 E-mail: office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge



## განცხადება

ქ. თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახური, მუნიციპალურ ავტობუსებზე მძღოლებად სამუშაოდ, აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენლებისათვის გამოყოფს 7 ვაკანსიას.

აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტრო აწარმოებს მძღოლთა კანდიდატურების შერჩევას აღნიშნული ვაკანსიის შესავსებად.

ყველა დაინტერესებულ პირს ვთხოვთ, დამატებითი ინფორმაციისა და შესაბამისი ცნობების წარმოდგენისათვის არაუგვიანეს 15 სექტემბრისა, მიმართოს აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დეპარტამენტს, შემდეგ მისამართზე: ვაგზლის მოედანი №2. მეოთხე სართული.

ტელეფონები: 56 39 22, 899 553844



## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას მ ა გ ი ს ტ რ ა ტ უ რ ა შ ი

სპეციალობებზე:
1. საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია;
2. საერთაშორისო ეკონომიკური და ენერგეტიკული პოლიტიკა და დიპლომატია;
3. პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები. საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტოლოგი. პოლიტოლოგ-მენეჯერი.
4. საერთაშორისო და რეგიონალური კონფლიქტები;
5. ხელოვნებათმცოდნეობა;

**სრული ინფორმაციისათვის დარეკეთ:**
**33-30-15 33-13-79; 899 45-50-10 893 78-97-21**



## პროკრედიტ ბანკი აცხადებს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ვაკანსიას:

**მოთხოვნები:**
უმაღლესი განათლება სამოქალაქო სამართალის განხრით, საქართველოს კომერციული კანონისა და საბანკო რეგულირების წესების საფუძვლიანი ცოდნა
- საბანკო სისტემაში მუშაობის მინიმუმ 3 წლის გამოცდილება, იურიდიული ასპექტებისა და საკრედიტო ტრანზაქციების საფუძვლიანი ცოდნა
ქართული, რუსული და ინგლისური ენების სრულყოფილად ცოდნა
- ევროპაში ან აშშ-ში ტრეინინგი ან სამუშაო გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 24 სექტემბერი**

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მოგვაწოდონ CV და სამოტივაციო წერილი შემდეგ მისამართზე
პროკრედიტ ბანკი, საქართველო
სათაო ოფისი
თბილისი, 0112 აღმაშენებლის გამზირი N154
ან გამოგვიგზავნეთ ელ-ფოსტით მისამართზე: career@procreditbank.ge

**შენიშვნა: CV-ზე ან წერილში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება, წინააღმდეგ შემთხვევაში შემოსული საბუთები არ განიხილება**